საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიერებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

ოთხშაბათი, 10 თებერვალი. 2016 წ. №25 (7917), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲔᲛᲓᲔ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲡᲮᲕᲐᲡᲐᲜ ᲕᲔᲠ

ᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲤᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ?

ᲤᲐᲢᲣ ᲑᲔᲜᲡᲣᲓᲐᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲭᲕᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲨᲘ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲬᲐᲛᲔᲑᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲕᲚᲐ, ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲞᲧᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ Ა. Ш. ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲐ. ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲙᲝᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲐᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲝᲡ თუ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲐᲓ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ?!

2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲥᲝ

11 თებერვალი ირანის ისლამური რევოლუციის დღეა

ᲐᲘᲐᲗᲝᲚᲐ ᲮᲝᲛᲔᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ③

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲢᲣᲡᲙᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ.

�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲣᲡᲙᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲝ.

ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ – ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ⑤ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲗ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲢᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲯᲘᲚᲓᲐᲠᲝ ᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲔᲡ, ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ!.. ④

ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ⑫

ᲑᲐᲑᲐ ᲕᲐᲜ�გᲐᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ ⑦

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.487; ᲔᲕᲠᲝ - 2.778;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.597;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.234; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.847;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.584;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 5.045

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ -3,	ᲓᲦᲔ +6
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ -10,	ᲓᲦᲔ +4

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ -1,	ᲓᲦᲔ +15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ -5,	ᲓᲦᲔ +7
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ -1,	ᲓᲦᲔ +4

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ:
293-37-87,
599-79-76-79

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲣ ᲨᲢᲔᲤᲐᲜ ᲖᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ.

შეხვედრისას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე, ასევე, შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა და საქართველოსათვის სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის დროულად დასრულების მნიშვნელობა.

რუმინეთი აგრძელებს საქართველოსთან თანამშრომლობას საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის ფარგლებში.

შეხვედრისას ასევე, ისაუბრეს შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, მომავალი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობაზე, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კურსზე და რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

რუმინეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ ᲣᲕᲘᲖᲝᲓ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მუდმივი წარმომადგენელი ევროკავშირში ნატალი საბანაძე აცხადებს, რომ უვიზო მიმოსვლის გზაზე საქართველოს მიერ გეგმის წარმატებით შესრულება ევროკავშირში აღიარებულია.

შესაბამისი განცხადება ნატალი საბანაძემ ქართველ ჟურნალისტებთან ბრიუსელში გააკეთა.

„ყველამ იცის, რომ საქართველომ შეასრულა თავისი გეგმა ძალიან კარგად. ამიტომ კითხვის ნიშნები არ დგას ჩვენ მიმართ. საუბარია, უბრალოდ იმაზე, როდის ჩათვლის კომისიის წევრი-სახელმწიფოები ყველაზე დროულად და მიზანშეწონილად იმისთვის, რომ ჩვენი უვიზო მიმოსვლის საქმე დააყენონ დღის წესრიგში. ეს არის რთული გადასაწყვეტი იქიდან გამომდინარე, რომ იცით, არის ძალიან სერიოზული კრიზისი მიგრაციის კუთხით და ამიტომ, შესარჩევია კარგი მომენტი“, — ამბობს ნატალი საბანაძე.

ᲗᲘᲑᲘᲚᲝᲕᲡ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲐᲔᲠᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲨᲘ

ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ დატოვებისას, ცხინვალის ქართული მოსახლეობა თავად ანადგურებდა და წვავდა საკუთარ სახლებს .

ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას განცხადებებს „ორმაგი სტანდარტების ნათელ მაგალითად“ აფასებს.

როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, შესაბამისი განცხადება თიბილოვმა ე.წ. ძალოვანი უწყებების ე.წ. ხელმძღვანელებთან გამართულ თათბირზე გააკეთა.

„საოცარია, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ 2008 წლის აგვისტოში სწორედ საქართველო დაესხა სამხრეთ ოსეთს, მშვიდ ქალაქს, ბავშვებსა და ქალებს. დღეს კი, ბენსუდას განცხადებებში აშკარად ვხედავთ ორმაგ სტანდარტებსა და მიდგომებს“, — განაცხადა თიბილოვმა.

მისი თქმით, ბენსუდას განცხადება, რომ ომის დროს დაიღუპნენ ქართველი მშვიდობისმყოფელები, „აბსურდია“.

„სწორედ ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა, რომელსაც მშვიდობის უზრუნველყოფა ევალებოდა და სამმხრივ ფორმატში მუშაობდა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ოპერაციის დაწყებამდე დისლოკაციის ადგილი დატოვა“, — განაცხადა თიბილოვმა.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მოსაზრებით, ომის დროს სინამდვილეში რუსი მშვიდობისმყოფელები დაიღუპნენ.

„მე, როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ვაცხადებ, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდა არ მომხდარა. ცხინვალის რაიონის ქართველი მოსახლეობა წინასწარ გაიყვანეს საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი იქნება და სოფლების დატოვებისას, თავად ანადგურებდნენ და წვავდნენ საკუთარ სახლებს“, — განაცხადა თიბილოვმა.

ეჰ, თიბილოვ, თიბილოვ, საკუთარი სახლები თქვენი შიშით ქართველებმა კი არ გადაწვეს, თქვენ და ოკუპანტებმა გადაწვით. ხოლო თქვენი ნაბოდვარი, ორასი წლის წინანდელი პირვლეი სამამულო ომის თემიდანაა აღებული, როდესაც ფრანგებს გადამწვარი მოსკოვი შეატოვეს ხელში რუსებმა.

◎ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲰᲐᲐ�გᲘᲡ ᲭᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ?

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠ ფატუ ბენსუდას 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სამხედრო დანაშაულის გამოძიება დაეკალა. პროკურორის მოთხოვნაა გამოვლინდეს პირების ან ჯგუფების სია, რომელთაც ეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ყველაზე სერიოზული დანაშაულისთვის. ბენსუდას მონაცემები ასეთია: „სამხრეთ ოსეთის ძალებმა მათი საცხოვრებელი ადგილიდან გამოყარეს 13 400-დან 18 500-მდე ეთნიკური ქართველი. მოკლეს 51-დან 113 ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა. გაანადგურეს ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ეთნიკური ქართველების 5000 მეტ სახლს“.

რას გამოკვეთავს საბოლოოდ ჰაგა, ვინ დაისჯება, რომელ მხარეს დაუდგება პასუხისმგებლობის საკითხი, დაზარალდება თუ არა საქართველოს იმიჯი? — ამ და სხვა საკითხებზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ გვესაუბრება.

— ბატონო ირაკლი, ჰაგის პროკურორის მხრიდან გაისმა ბრალდებები იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლების დროს შეწყდა ჰაგასთან თანამშრომლობის პროცესი. ფატუ ბენსუდამ ქართული მხარე უმოქმედობაში დაადანაშაულა. გვაინტერესებს, რეალურად რა ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში, ვინ მიმართა ჰაგას, როგორ გაგრძელდა ურთიერთობები და ა. შ.?

— ჰაგის სასამართლო არის ის უნიკალური სასამართლო ორგანო, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად დაიწყოს გამოძიება, ყოველგვარი მიმართვის გარეშეც. ასე რომ, ჰაგის სასამართლო პროკურორს უფლება აქვს, მიმართოს სახელმწიფოებს, რომლებიც არიან რომის სტატუტის ხელმომწერნი, თავად ჩაატარონ გამოძიება, ხომ არ ჰქონდა ადგილი იმ დანაშაულებს, რომელიც განსაზღვრულია რომის სტატუტით. ეს

არის: ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, გენოციდი, ეთნოწმენდა და ა. შ. თუ ამას არ გააკეთებენ სახელმწიფოები, მაშინ ჰაგის პროკურორს უფლება აქვს, მიმართოს ჰაგის სასამართლოს და თავად მოიპოვოს უფლება, დაიწყოს გამოძიება იმის მიუხედავად, ეს მოსწონთ სახელმწიფოებს თუ არა. ამ შემთხვევაში სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

— ანუ „აგვისტოს ომის“ გამოძიების ინიციატორი ქართული მხარე არ ყოფილა?

— რა თქმა უნდა, არა. ჰაგის სასამართლო არ განიხილავს სახელმწიფოებს შორის დავას. ეს ის სასამართლოა, რომელიც არ ადანაშაულებს სახელმწიფოებს, არამედ მის ინტერესს წარმოადგენს კონკრეტული ფაქტები: ვინ არის დამნაშავე, ვინ არის დაზარალებული... მით უფრო, დღის წესრიგში არ დგას ისეთი გავრცელებული კითხვა — ვინ დაიწყო ომი. აქ საუბარია იმაზე, თუ ვინ დაარღვია ომის დროს, ომამდე ან ომის შემდეგ რომის სტატუტით განსაზღვრული მუხლები.

— საქართველო შეერთებულია რომის სტატუტს, რუსეთი კი არ არის შეერთებული, ყოველ შემთხვევაში ჯერ რატიფიცირება არ მოუხდენია. რა ხდება ასეთ დროს?

— ვინაიდან ომი წარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე, დანაშაული მოხდა აქ. შესაბამისად ჰაგის სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, მათ შორის იმ პირების მიმართაც წამოიწყოს საქმე, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან მიერთებული რომის სტატუტს. მართალია, რუსეთმა არ მოახდინა რატიფიცირება, მაგრამ ვინაიდან ომი მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე, ამიტომ აქ ჩადენილ დანაშაულზე ჰაგის სასამართლოს გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება, სამართლებრივი პროცედურები განახორციელოს.

— და მაინც, რას ნიშნავდა პროკურორის გამონათქვამები იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მხარე ხელს არ უწყობდა გამოძიებას?

— ასე არ არის... პროკურატურამ გამოძიება დაიწყო საქართველოსა და რუსეთისაგან დამოუკიდებლად. მოითხოვეს მასალები, გადავეცით ყველა დოკუმენტაცია და დღესაც მზად ვართ სათანამშრომლოდ. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მივცეთ მათ დაშვება.

— ბატონო ირაკლი, ამ ომში იკვეთება თუ არა სააკაშვილის დანაშაული, როგორც პიროვნების?..

— ვერ გეტყვით, ეს არის სასამართლო, რომელიც არ ადანაშაულებს სახელმწიფოს. პროკურორის პრეროგატივაა, დაადგინოს, კონკრეტულად ვინ ჩაიდინა დანაშაული. ამ პროცესში ვინ გამოიკვეთება დამნაშავედ, ამის თქმა წინასწარ არ შეუძლია არავის, მათ შორის მეც... მე შეიძლება ვფლობდე ინფორმაციებს, მაგრამ ჩემი ნებისმიერი განცხადება ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს პროკურორისთვის. მაგალითად, მე ხელთ მაქვს ობიექტური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გაუხსნა ცეცხლი რუს სამხედროებს, რომელიც ჩვენი მხარის უდანაშაულობას ამტკიცებს, მაგრამ პროკურატურის უფლებამოსილებაა, გაარკვიოს სიმართლე.

— თითქოს რუსეთის მხარე არ თანამშრომლობს ჰაგასთან, მაგრამ ის აწარმოებს დამოუკიდებელ გამოძიებას, საიდანაც იკვეთება სააკაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის ბრალეულობები.

— რუსეთის მიერ გამოხატული რეაქცია უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ის გაურბის ჩადენილი დანაშაულების აღიარებას. მათ თავიდანვე ჰქონდათ მკვეთრი, ხისტი პოზიცია და თქვეს, რომ არ ითანამშრომლებენ სასამართლოსთან. არ თანამშრომლობს ის, ვის სასარგებლოდაც სიმართლე არ არის. ჩვენი ინტერესია: კონკრეტული პირების მიმართ კონკრეტული დანაშაულები გამოიკვეთოს. მაგალითად, ანწუხელიძის წამების კადრები საჯაროა, სრულებით მარტივია იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც მას აწამებდნენ და მათზე საერთაშორისო დევნა უნდა გამოცხადდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! მაგრამ ჩვენი დიდი ინტერესია, რომ ასევე დაფიქსირდეს ეთნოწმენდა. ეს ჩვენთვის პოლიტიკურ დონეზე დამატებითი მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იქნება.

ᲘᲮ. 8 ᲒᲒ.

ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2015 ᲬᲔᲚᲡ ავარიის შედეგად 602 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაშავდა 9187.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს აღრიცხული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთაგან 160 ქვეითი იყო.

2015 წელს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაღუპულთაგან 28 ბავშვი იყო.

სტატისტიკის მიხედვით, 2015 წელს თბილისში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 90 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 3834 დაშავდა.

შსს-ს ინფორმაციითვე, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები იყო: არასწორი მანევრი, სიჩქარის გადაჭარბება, ნასვამობა და ქვეითების მონაწილეობა.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, საქართველოში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა 2,4 %-ით გაიზარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს 6432 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა დაფიქსირდა, ეს იმ ფონზე, როდესაც 2014 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 5992 შემთხვევას შეადგენდა.

აიათოლა ხომეინის წინასწარმეტყველების გამარჯვება

ეს ლექსი იმამ ხომეინის კალამს ეკუთვნის – 25 საუკუნის ისტორიის მძლე მონარქიის დამამხობელს და ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელს. 11 თებერვალს ირანი, ისლამური რევოლუციის 37-ე წლისთავს აღნიშნავს – თარიღს, რომელმაც კარდინალურად გარდაქმნა არა მარტო დიდი ისტორიისა და კულტურის სახელმწიფო, არამედ მთელი რეგიონი.

რამაზანი გავიდა და მარხვაში ნამყოფი
დილას ვიწყებ ღვინის სმით, სიყვარულით, ლაღობით,
მეღვინეთუხუცესმა ხსნილი ღვინით დაიწყო,
მარხვამ მომცა შედეგი აწ მთელი წლის სამყოფი.
რინდთა რწმენა გვავალებს, განვიბანოთ ღვინოში,
თუკი გესურს, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი ნაყოფი.



„განვიბანოთ ღვინოში“ – წარმოთქმული აიათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინის მიერ ბევრს გასაოცრად შეიძლება მოეჩვენოს. ისლამური ფასეულობების აღმდგენი, ღვინის თაყვანს ღაღადებს, რაც არა მარტო წინამდებარე ლექსშია ასახული, არამედ სხვა ლექსებშიც.

ცნობილი მეცნიერის, პროფესორის და ირანში საქართველოს პირველი ელჩის ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილის მიხედვით, „იმამ ხომეინის ლექსების კრებული „სიყვარულის ღვინო“ – მუსლიმური მისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ტროპია, რომელიც ღვთის სიყვარულით გონმიხდილობას, თავისებურ ღვთაებრივ სიშმაგეს გამოხატავს. ისლამის მისტიკურ ტრადიციაში ხომ ღმერთი იდეალური სატრფოა, ადამიანი – მისი ტრაგიკული მეტრფე, ხოლო სიყვარული გზაა მათ შორის, რომლის გავლასაც მისტიკური ღვინო – პოეზია, მუსიკა, საერთოდ ხელოვნება აიოლებს“.

37 წლის წინათ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის მმართველობას, შაჰის მიერ მტრად შერაცხილი, ირანიდან განდევნილი ღვთისმსახური ხომეინი განახორციელებდა. აშშ-ის, ევროპის ქვეყნების, ისრაელის, სხვების მიერ ზურგგამაგრებულ რეზა ფეჰლევის მონარქიას ვერვინ შეარყევდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ მხარდაჭერილი სტრატეგიული მოკავშირის ხელისუფალთა ისტორიის სანაგვეზე მოსროლა?!

ვერ წარმოიდგენდა ის, ვინც არაფერი იცოდა ქვეყანაში მიმდინარე სახალხო დუღილის, მონარქიით უკმაყოფილო ირანელთა რისხვის თაობაზე. ირანში აკრედიტებული აშშ-ის საელჩო, ისლამური რევოლუციის პიკამდე რამდენიმე კვირით ადრე, ატყობინებდა ვაშინგტონს, პირადად უშიშროების საბჭოს მდივანს ზბიგნევ ბჟეზინსკის, რომ ირანში არსებული მდგომარეობა ცეცხლზე მდგარი დენთით სავსე კასრის მსგავსი იყო და მალე მისი აფეთქება სიღრმისეულად შეაზანზარებდა ქვეყანას.

ბჟეზინსკიმ გაზვიადებულად ჩათვალა საელჩოს ინფორმაცია და პრეზიდენტ კარტერისთვის, ნაცვლად არსებული ვითარების მოხსენებისა, შეღამაზებული სურათი დახატა. მას ვერაფრით წარმოედგინა ამერიკის მიერ მხარდაჭერილ ქვეყანაში თუ ვინმე გაბედავდა მოკავშირე შაჰის დამხობას.

ბჟეზინსკი შეცდა. შაჰი დაამხეს, ხოლო მის დამამხობელ ხომეინის – სამშობლოში დაბრუნებულს, მილიონობით ადამიანი დახვდა თეირანის აეროპორტში. ირანის დედაქალაქის ქუჩები გამარჯვებული ხალხით იყო სავსე. უყურებ რა იმჟამინდელ ფოტოსურათებს – გამოფენილს რევოლუციის, შემდგომში კი ქვეყნის მეთაურის აიათოლა ხომეინის სახლ-მუზეუმში, გაოცებს ძალა სახალხო ერთობისა, თავდადება ქვეყნისა და სულიერი ლიდერის წინაშე.

აიათოლა რუჰოლა ხომეინ ახალი სიტყვაა ირანის ცხოვრებაში და არა მარტო ირანის. ირანის რევოლუციამ, რომელიც სულ რაღაც 37 წელიწადს მოიცავს, თავისი ომახიანი სიტყვა თქვა – სიტყვა მტკიცე, შეუპოვარი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ბარიერის, ღია თუ ფარული აგრესიის წინაშე იდგა ახალგაზრდა რევოლუციური ქვეყანა. უსერიოზულესმა გამოწვევებმა – ერაყთან 8-წლიანმა ომმა და დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ვერაფერი დააკლეს ქვეყანას. ამ ომში ირანმა გაიმარჯვა. მისმა მყარმა პოლიტიკურმა პოზიციამ აიძულა აშშ, მისი მოკავშირეები შეეცვალათ პოლიტიკა ირანთან მიმართებაში.

გასული წელი ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური ვექტორის, გამჭრიახი დიპლომატიის გამარჯვების წელი იყო. ვენის მოლაპარაკებებმა და მიღწეულმა შედეგებმა გზა გაუხსნეს ურთიერთნდობას, თანამშრომლობას და, რაც მთავარია, მშვიდობას ამ რეგიონში. წინ, ახალ ვითარებაში, ახალი ცხოვრებისთვის საჭირო ნაბიჯები იდგმება, რასაც უდავოდ მოჰყვება შესაბამისი გამოწვევები, მაგრამ მთავარი პრობლემა – უნდობლობა დაძლეულია.

ირანის ხელისუფლება მიღწეული წარმატებების ტკბობის ვითარებაში არ არის. ის პრაგმატულად მოქმედებს და დროს არ კარგავს. ეს ესაა ირანის პრეზიდენტმა **ჰასან რუჰანიმ** ოფიციალური ვიზიტები დაასრულა იტალიასა და საფრანგეთში, სადაც არაერთ ორმხრივ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. თანამშრომლობა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ენერგომატარებლების, ავტომშენებლობის, საჰაერო ბრუნვის გაზრდაში, თანამედროვე ტექნოლოგიის შეძენაში და ა.შ.

ირანი ის ქვეყანაა, სადაც მსოფლიოს, განსაკუთრებით ამერიკა-ევროპის ბიზნესი ცდილობს ფეხის მოკიდებას. ირანისადმი ინტერესს გამოხატავს რუსული კომპანიებიც. რუსეთ-ირანის ურთიერთობები მარტო ბიზნესით არ შემოიფარგლება. ის სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობასაც მოიცავს, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებით, როგორიც სირიაა.

ორივე ქვეყანა თვლის, რომ სირიის ხელისუფლება არის ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, რომელიც ვალდებულია შეცვალოს ვითარება ქვეყანაში. ორივე მიიჩნევს, რომ სირიის პრეზიდენტის გადაყენების თემა არ უნდა განიხილებოდეს, მითუმეტეს საომარ ვითარებაში. ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორება ნეგატიურად იმოქმედებს სახელმწიფოს მდგომარეობაზე და ქაოსს გამოიწვევს. ორივე თვლის, რომ პრეზიდენტი და ხელისუფლება სირიელმა ხალხმა უნდა აირჩიოს და არავინ სხვამ უცხოეთიდან.

აიათოლა ხომეინის მიერ შექმნილი ირანის ისლამური რესპუბლიკა – 37 წლის განმავლობაში დასავლეთის მიერ მწვავე კრიტიკის მუდმივი ობიექტი, დღეს დიდი შეჯიბრის ობიექტია. ყველა დასავლელი ცდილობს მასთან ურთიერთობის დამყარებას. არის თუ არა ეს, აიათოლა რუჰოლა ხომეინის ბრძნული საქმეებისა და წინასწარმეტყველების გამარჯვება?

როგორც ირანმა, ისე რუსეთმა ტერორისტული აქტები საკუთარ თავზე გამოსცადეს და კარგად მოეხსენებათ, რასთან აქვთ საქმე. ორივე ქვეყანა ებრძვის ტერორიზმს არა სიტყვით, არამედ საქმით. „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ ნაწრთობი სამხედრო სპეციალისტები დიდ დახმარებას უწევენ სირიის სამთავრობო ძალებს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში.

2015 წლის სექტემბერში ბაღდადში რუსეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ შექმნეს საინფორმაციო ცენტრი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მოქმედებას უწევს კოორდინაციას. ცენტრი მოიძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს და ინფორმაციას უგზავნის აღნიშნული ქვეყნების გენერალურ შტაბებს.

რუსულ-ირანული სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია თურქეთის სამხედრო თვითმფრინავის მიერ რუსეთის ბომბდამშენის ჩამოგდების დროს, რუსი შტურმანის გადარჩენა. სანდო წყაროების მიხედვით, მფრინავის ხსნის ოპერაციას „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ გენერალი კასემ სულეიმანი ედგა სათავეში.

არანაკლებ ნაყოფიერად ვითარდება ირან-რუსეთის თანამშრომლობა ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ. ირანის შინაგან საქმეთა მინისტრის რახმანი-ფაზლის განცხადებით – ირანი ყოველწლიურად 500 ტონა ნარკოტიკს აკავებს, რომლის მთავარი მიმართულება (ირანის გავლით) ევროპის ქვეყნებია.

ირანი უარყოფითად აღიქვამს რეგიონში აშშ-ის სამხედრო ძალების ყოფნას და მის ვითომდა ბრძოლას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

გარდა სამხედრო დარგში თანამშრომლობისა, ორი ქვეყანა საქმიანად ურთიერთობს მათ წინააღმდეგ წამოწყებული საინფორმაციო ომის საწინააღმდეგოდ. ირანს დესტრუქციულ-პროპაგანდისტულ ომთან ბრძოლის 30-წლიანი გამოცდილება აქვს, რაც საინტერესოა რუსეთისთვის. ირანის ხელისუფლება ანტირუსული სანქციების დაწესებიდან დაწყებული, გმობს ამ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ აშშ და ევროკავშირი არ უნდა ექცეოდნენ სხვა ქვეყნებს ქედმაღლურად.

ირანმა მონაწილეობა არ მიიღო გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაში, რომელსაც ანტირუსული რეზოლუცია უნდა მიეღო ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის გამო.

ირანი, ისე როგორც რუსეთი, შეშფოთებულია რეგიონში და არა მარტო იქ ტერორისტული ჯგუფების გააქტიურების გამო. ამ მხრივ თვალშისაცემია უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული საეჭვო ნაბიჯი, რომელიც უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს არა მარტო რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნების მიმართ, მათ შორის თვით უკრაინის მიმართ. საქმე „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების უკრაინაში გამოჩენას ეხება.

გასული წლის ზაფხულს, თურქეთიდან ხერსონის ოლქში გადაისხა ასობით ახალგაზრდა „ტურისტი“, რომლებიც განათავსეს ტურბაზებში. ეს ტურბაზები ყირიმელი თათრების საკრებულოს საკუთრებაა. განგაში ხერსონელებმა ატეხეს – ე.წ. ტურისტების გამომწვევი ქცევის გამო. განგაშის შედეგად ტურბაზის დაცვა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების სამსახურს დაევალა. შეწყდა ინფორმაციაც უკრაინის მედიაში.

სირია-ერაყიდან უკრაინაში შესული „ტურისტების“ პარალელურად უკრაინის რადამ მიიღო კანონი, რომელიც ნებას რთავს უცხოელებს იმსახურონ უკრაინის სამხედრო ძალებში. ამის შემდეგ, უკრაინის რადაში მოკალათებული ყირიმელი თათრები აცხადებენ უკრაინის არმიაში „მუსლიმანური ბატალიონის“ ჩართვის თაობაზე, რომლის მიზანი იქნება ბრძოლა რუსი „ოკუპანტების“ წინააღმდეგ ყირიმში. მუსტაფა ჯამილევის განცხადებით, ამ ბატალიონში არა მარტო უკრაინელი მუსლიმები იქნებიან, არამედ თურქები, სირიელები და ერაყელები. ისლამისტებს მხარს უჭერს თურქეთის ხელისუფლებაც, რომელიც აწვდის მათ ამუნიციას, კავშირგაბმულობის სისტემებს, იარაღს და ყოველივეს ხსნის თურქეთ-უკრაინის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობით.

16-20 იანვარს ქ.გენიჩესკში ჩატარდა ყირიმელი თათრების მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი კომისიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა 43 ქვეყნის წარმომადგენელი. მათი განცხადებით, განიხილეს ისეთი საკითხი, როგორიცაა „მსოფლიო ისლამური ფრონტის“ მეომრების ჩართვა „უწმინდურებისგან“ ყირიმის განთავისუფლების საქმეში. შეკრებაზე ჯამილევმა განაცხადა, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ოფიციალურად შეუერთდეს „ჯიჰადს“ – საზიზღარი რუსეთის წინააღმდეგ – მუსლიმანთა წმინდა ყირიმის გათავისუფლებისთვის.

ოფიციალური უკრაინა ხელს უწყობს ახალი ანტირუსული კერის შექმნას, ამ შემთხვევაში ისლამურის, რამაც სერიოზული დაძაბულობა შეიძლება გამოიწვიოს შავი ზღვის აუზში. რადიკალური ისლამის ახალი კერა ახალ სირთულეებს გამოიწვევს, რაც მიუღებელია ყველა იმისთვის, მათ შორის ირანისთვის, ვინც იბრძვის რადიკალური ისლამის წინააღმდეგ.

ომი სირიაში, კონფლიქტი ერაყში და კრიზისი იემენში ემსახურება მსოფლიო ნავთობის ბაზრის გადანაწილებას, რაც თავისთავად გამოიწვევს საუდის არაბეთის დასუსტებას და ირანის გაძლიერებას. როგორც ჩანს, ამ პროცესს გარკვეულწილად აშშ-ის პოლიტიკა წაახალისებს, ვინაიდან მას ნაკლებად მოსწონს გაძლიერებული საუდის არაბეთი, თუნდაც მოკავშირე, რომელიც ნავთობით ვაჭრობის შედეგად მოხვეჭილი ტრილიონებით თავს დამოუკიდებლად გრძნობს და ფულით მოპოვებული გავლენით ცდილობს არაბულ ქვეყნებში განახორციელოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლების დამხობა. მართალია, ყოველივე აღნიშნული ვაშინგტონის მახვილი თვალის გარეშე არ ხდება, მაგრამ ზედმეტი ინიციატივა მისთვის მიუღებელია. ეს კი საუდის არაბეთის მონარქიისთვის საბედისწერო შეიძლება გამოდგეს.

საუდის არაბეთის დამოკიდებულება ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ ერთობ დაძაბული და საფრთხის შემცველია. დაპირისპირება არა მარტო სირიის საკითხებში შეიმჩნევა, არამედ ბაჰრეინსა და იემენთან მიმართებაშიც. საუდის არაბეთი ცდილობს პირველობა მოიპოვოს ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ მისი პოლიტიკა წინააღმდეგობას აწყდება ირანის მხრიდან – ქვეყნიდან, რომელიც ეკონომიკური სანქციების მოხსნის შემდეგ აქტიურად უბრუნდება საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ირანის პოტენციალი, საკუთარი ძალებით შექმნილი ქვეყნის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის სხვა დარგები, მეცნიერება და კულტურა მტკიცე საწინდარია მისი რეგიონში უცილობელი დომინირებისა. სწორედ ამით არის გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელსაც დასავლეთი ავლენს ირანის მიმართ.

აიათოლა ხომეინის მიერ შექმნილი ირანის ისლამური რესპუბლიკა – 37 წლის განმავლობაში დასავლეთის მიერ მწვავე კრიტიკის მუდმივი ობიექტი, დღეს დიდი შეჯიბრის ობიექტია. ყველა დასავლელი ცდილობს მასთან ურთიერთობის დამყარებას. არის თუ არა ეს აიათოლა რუჰოლა ხომეინის ბრძნული საქმეებისა და წინასწარმეტყველების გამარჯვება?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ინფორმაცია თემაში

15 თებერვლიდან ირანში უვიზოდ ვივლით!

საქართველოში ირანის ელჩის მოადგილის მოჰსენ ქებრიაის განცხადებით, საქართველოს მიერ ირანისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმი 15 თებერვლიდან გაუქმდება. მისი თქმით, საქართველოს მიერ ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად შეფერხდა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა და ეკონომიკური ურთიერთობები.

„ზოგადად, ეკონომიკური ურთიერთობა ვითარდება მაშინ, როდესაც ხალხთა შორის არის თავისუფალი მიმოსვლა, როდესაც ინვესტორი თავისუფლად შემოდის და თავის სასურველ სფეროში აბანდებს კაპიტალს, იწყებს ეკონომიკურ საქმიანობას. უვიზო რეჟიმის გაუქმებამ ასახვა ჰპოვა საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვაზე. თუ 2012-13 წლებში სავაჭრო ბრუნვა 200 მილიონი დოლარის ფარგლებში იყო, დღეს 130 მილიონამდეც არაა. თუმცა, ამის გამოსწორება შეიძლება, იმიტომ, რომ საქართველოს და ირანს აქვთ პოტენციალი, სავაჭრო ბრუნვა გაზარდონ“, – განაცხადა მოჰსენ ქებრიაიმ.

◎ როდესაც საზოგადოება ითხოვს

ბათუმის ბულვარი იმიტომ გახდა საჯილდაო ქვა, რომ ჩათვალეს, აქ ყველაზე მეტი ფული გაკეთდებოდა!..

...ყველაზე მეტი ფული გაკეთდებოდა, თუ ჩადგამდნენ ათასნაირ შეუფერებელ ნაგებობას, რესტორანს, გასართობ ცენტრს, თუკი გააუქმებდნენ სამი ხეივნის შემცველ გზას. არადა, ხეივანი უნდა შენარჩუნდეს, ეს უნდა იყოს გამწვანებული, დასასვენებელი, ჩრდილიანი ადგილი, კაპიტალური ნაგებობების გარეშე და არა შენობებით ამოვსებული. შუა ხეივნის გაუქმება გადაწყვიტეს იმ აზრით, რომ იქ უფრო მიმზიდველი გახდებოდა შესვლა და ფულის დახარჯვა.

როგორი უნდა იყოს ბათუმის ბულვარის კონცეფცია?! ამის შესახებ რიგით ბათუმელებსა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მარტივ გამოსავალს გვთავაზობს **ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაძრაძე.** For.ge-სთან საუბარში ის ამბობს, რომ ბათუმის ბულვარი უნდა იყოს ისეთი, როგორიც სურთ ბათუმელებს – ბათუმელებს კი უყვართ ის ბულვარი, როგორიც ჰქონდათ ადრე, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. ამას უნდა ითვალისწინებდეს აჭარის ცენტრალური ხელისუფლების თავმჯდომარე და მაშინ არც გახდებოდა ბათუმის ბულვარის კონცეფცია სადავო.

„ბათუმის ბულვარი იმიტომ გახდა საჯილდაო ქვა, რომ მშვენიერი, ყველასთვის საყვარელი ადგილია და ჩათვალეს, რომ ამ მშვენიერ ადგილას ყველაზე მეტი ფული გაკეთდებოდა, თუ ჩადგამდნენ ათასნაირ შეუფერებელ ნაგებობას, რესტორანს, გასართობ ცენტრს, თუკი გააუქმებდნენ სამი ხეივნის შემცველ გზას. არადა, ხეივანი უნდა შენარჩუნდეს, ეს უნდა იყოს გამწვანებული, დასასვენებელი, ჩრდილიანი ადგილი, კაპიტალური ნაგებობების გარეშე და არა შენობებით ამოვსებული. შუა ხეივნის გაუქმება გადაწყვიტეს იმ აზრით, რომ იქ უფრო მიმზიდველი გახდებოდა შესვლა და ფულის დახარჯვა. არავის არ უფიქრია იმაზე, რომ ბათუმელებს ამის გაკეთება არ სურთ. მათ სურთ, შეინარჩუნონ ბათუმის ბულვარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ისეთად, როგორიც იყო. წესით, ბათუმელების აზრი გადამწყვეტი უნდა იყოს ქალაქდაგეგმარებაში. ამას უნდა ითვალისწინებდეს აჭარის ცენტრალური ხელისუფლების თავმჯდომარე“, – გვითხრა ზურაბ ბაქრაძემ.

„ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ ბათუმის ოფისის კოორდინატორი **თამარ მამეიშვილი** აცხადებს, რომ ვიწრო ჯგუფში მოხდა ბათუმის ბულვარის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღება და ბათუმელებმა მხოლოდ პოსტფაქტუმ შეიტყვეს ამის შესახებ.

რაც შეეხება „დრიმლენდ ოაზისს“, რომელიც ადგილობრივებს ახალ კაფეებს, შადრევნებს, დასასვენებელ ადგილებს, ახლებურ მიმართულებებსა და სიახლეებს ჰპირდება, ეს კომპანია ბათუმელებს ჯერ კიდევ იმ დროიდან ახსოვთ, როცა ჩაქვში მდებარე სასტუმრო „ოაზისი“ დააპროექტა. თუმცა, ბათუმელებისთვის გაუგებარია, ბათუმის ბულვარის ხელყოფისთვის რატომ მიიწვიეს ეს კომპანია?!

„ამ კომპანიის შერჩევის მიზეზად როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, ისე აჭარის ეკონომიკის სამინისტრო ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზებას ასახელებენ. ბიუჯეტი რადგან პატარა იყო, თურმე ამიტომ აღარ გამოაცხადეს ტენდერი, თურმე აღარ ჰქონდა ტენდერის გამოცხადებას აზრი, მით უმეტეს, – საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებას. ასეთ არგუმენტს იშველიებენ და გვარწმუნებენ, რომ რაღაც კვლევის საფუძველზე შეარჩიეს ეს კომპანია. ბათუმელები კი ვთვლით, რომ ბულვარი არ არის ის ადგილი, სადაც ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები. არსებობს ბათუმში ახალი ბულვარი, ასევე, არსებობს ბათუმში ჭაობის დასახლება, სადაც ძალიან ბევრი პრობლემაა და ეს თანხა – 12 მილიონ ლარზე მეტი, შეუძლიათ ამ ადგილების განვითარებისთვის დახარჯონ. ბულვარი კი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც რეკრეაციული ზონა. მაშინდელი დამგეგმარებლები დღესაც ცოცხლები არიან და ამბობენ, რომ აქ იყო მეტი ჩრდილი და ნაკლები მზე, ანუ გათვლილი იყო დასვენებისთვის. სამი სასეირნო ბილიკია ბულვარში, ახლა უნდათ ერთი ბილიკის გაუქმება და ამ ადგილას გასართობი ცენტრების ჩადგმა. გვარწმუნებენ, თითქოს კვლევის საფუძველზე ამ ბილიკზე უფრო ნაკლები ადამიანი დასეირნობსო. ამ არგუმენტს ვერ მივიღებთ. მით უმეტეს, ზაფხულში ბათუმის ბულვარის ყველა ბილიკი გადატვირთულია. სხვათა შორის, როცა ჩვენმა ორგანიზაციამ მოაწყო ბათუმელებისთვის ამ აქტუალურ საკითხზე შეხვედრა, ბატონი ზურაბ ბაქრაძის ფრაზა მახსოვს, „გასაგებია, ბათუმის ბულვარი არის ძეგლის სტატუსის მქონე ადგილი, აქ მოქმედებს განსაკუთრებული რეგულაციები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა ხალხის მოთხოვნაა. როდესაც საზოგადოება ითხოვს დარჩეს ბულვარი ისეთად, როგორიც იყო, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ნებისმიერმა ხელისუფალმა“, – აღნიშნა თამარ მამეიშვილმა.

მანანა ნოზაძე

◎ სიახლეები ავიაბაზარზე

ქუთაისი დროებით რეგიონის პირველი აეროპორტი გახდება

თბილისის აეროპორტი დროებით რეისების რაოდენობას ამცირებს, ქუთაისის აეროპორტის დატვირთვა კი იზრდება – ოფიციალური მიზეზი თბილისის აეროპორტში სარემონტო სამუშაოების ჩატარებაა, თუმცა, ცხადია, ამ პროცესებზე დაბალბიუჯეტიანი ფრენების პოპულარობის ზრდაც ახდენს გავლენას.

კერძოდ, 1 მარტიდან, ოთხი თვის განმავლობაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დღის რეისები არ განხორციელდება. მედია ავრცელებს TAV-ის ადმინისტრაციის განცხადებას, რომლის თანახმადაც,დღის რეისების შეჩერების მიზეზი აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სარემონტო სამუშაოებია, რის გამოც დღის რეისები ღამით შესრულდება. თუმცა, ამ ეტაპზე აეროპორტში არ აკონკრეტებენ ახალ განრიგს.

ამასთან ერთად, არავინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ აღნიშნულ პერიოდში ავიაკომპანიები, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენებს ახორციელებენ.

აეროპორტის ადმინისტრაციის განცხადებით, ავიაკომპანიებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, გადაიტანენ ღამის რეისზე ფრენებს თუ გააუქმებენ.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში, წინასწარი ინფორმაციით, ივლისიდან განაახლებს.

მანამდე კი ცნობილი ხდება, რომ ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების სიხშირე იზრდება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში აცხადებენ. სამინისტროს ინფორმაციით, „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზები“ ქუთაისი-კიევის მიმართულებით მიმდინარე წლის 27 მაისიდან კვირაში მე-4 სიხშირეს დაამატებს, ხოლო 4 ივნისიდან ავიარეისები ყოველდღიურად შესრულდება.

ასევე „ურალის ავიახაზები“ 24 თებერვლიდან მეორე, ხოლო 1 აგვისტოდან მესამე სიხშირეს ქუთაისი-მოსკოვის მიმართულებით ამატებს. ავიარეისები 24 თებერვლიდან ყოველ ოთხშაბათს და შაბათს, ხოლო 1 აგვისტოდან ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს შესრულდება. დღევანდელი მდგომარეობით, უკრაინული ავიაკომპანია რეისებს ასრულებს ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას 07:15 საათზე, ხოლო „ურალის ავიახაზები“ – ყოველ შაბათს, 21:00 საათზე.

ამას გარდა, უნგრული ავიაკომპანია „ვიზეარი“ 2016 წელს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში რეგიონში პირველ ბაზას გახსნის.

შედეგად, ქუთაისი გახდება რეგიონში პირველი აეროპორტი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიის ბაზირებით. ბაზა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა და უნგრული ავიაკომპანია Wizz Air შორის მიღწეულ შეთანხმების შედეგად იხსნება.

ავიაკომპანია „ვიზეარის“ ფლოტი მოიცავს ეარბას A320 და A321 ტიპის 65 საჰაერო ხომალდს. ავიაკომპანია ამჟამად წარმოდგენილია 23 აეროპორტში და ასრულებს ფრენებს 400 მიმართულებით, რითაც ერთმანეთთან აკავშირებს 38 ქვეყნის 188 აეროპორტს. 2015 წელს ავიაკომპანია „ვიზეარმა“ 19,2 მილიონი მგზავრი გადაიყვანა.

ნინო ევგენიძე

◎ კერძო სექტორი

უფასო ტრენინგები ტურისტული სერვისის გასაუმჯობესებლად

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრში ტრენინგები დაიწყო. პირველი ტრენინგი სასტუმროებისა და კვების ობიექტების დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს მოწვეულმა ტრენერმა სასტუმრო „დივან სუითი“-ს დასუფთავების სამსახურის მენეჯერმა ჯეირან ბეჟანიძემ ჩაუტარა. შეხვედრაზე ძირითადათ აქცენტი სასტუმროებსა და კვების ობიექტებში დასუფთავების ხარისხის ამაღლებასა და მინიმალური სტანდარტების დამკვიდრებაზე გაკეთდა.

რეგიონში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დეპარტამენტის სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი ერთდღიან ტრენინგებს სასტუმროების, რესტორნებისა და ტურსააგენტოების მოქმედი თანამშრომლებისთვის ყოველკვირეულად ჩაატარებს. ტრენინგებს სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი და მის მიერ მოწვეული ტრენერები სტუმრის მომსახურების, დასუფთავების, უსაფრთხოების, რეზერვაციისა და ხარისხის ამაღლების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ .

შეგახსენებთ, რომ ცენტრი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ბაზაზე არსებობს და მის მიერ შეთავაზებული ტრენინგები თუ კონსულტაციები სრულიად უფასოდაა ხელმისაწვდომი კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის.

ჯი-ეიჩ-ენი

⊙ გერმანელებს მაინც დავუჯეროთ!

ეკონომიკის ექსპერტმა თემურ ბასილიამ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საინტერესო ინიციატივა გააჟღერა — სავალუტო ფონდის რეკომენდაციიდან გამომდინარე, რომელიც ქართულ საბანკო სექტორში დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებელს უკავშირდება, გამოსავალი იქნებოდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად ბანკებს მხოლოდ ლარში ჰქონდეთ ოპერაციების განხორციელების, მათ შორის კრედიტების გაცემის უფლება.

მისი თქმით, მსგავსი პრინციპი მოქმედებს მთელ განვითარებულ სამყაროში.

აქედან გამომდინარე, „კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორი პრაქტიკაა ევროპაში და რას ფიქრობენ აღნიშნულ იდეაზე სხვა ქართველი ექსპერტები.

დოლარში სესხების გაცემა უნდა შეიზღუდოს!

ჩვენ დავუკავშირდით გერმანიის ერთ-ერთი საფინანსო ინსტიტუტის თანამშრომელს, რომლის თქმით, გერმანიაში უცხოურ ვალუტაში სესხის აღება აკრძალული არ არის, შესაძლებელია მოქალაქე მივიდეს ბანკში, გაესაუბროს მრჩეველს და უცხოურ ვალუტაში აიღოს სესხი, თუმცა, მისი თქმით, **გერმანიაში ამას ძალიან ცოტა მომხმარებელი აკეთებს და ევროს გარდა სესხის სხვა ვალუტაში გამოტანა იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი.**

„კრედიტის აღებისას მოვალეს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, მაგალითად შესაძლოა ბანკში კრედიტი 10%-ად აიღო და 1 თვეში ბაზარზე განაკვეთები 5%–მდე დაეცეს, გამოვა, რომ შენ ბანკს ბაზართან შედარებით 5%-ით მეტს გადაუხდი. იმ შემთხვევაში კი როცა უცხოურ ვალუტაში ხდება კრედიტის აღება, საპროცენტო განაკვეთის რისკს გაცვლითი კურსის რისკი ემატება, რაც ბევრად დიდია ვიდრე საპროცენტო განაკვეთის რისკი“. ირკვევა, რომ გარკვეული პერიოდის წინ გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა გასცა გაფრთხილება, რომ მოსახლეობა უცხოურ ვალუტაში კრედიტების აღებას მოერიდოს.

მისი თქმით, საქართველოში შესაძლოა ბანკები დოლარში ცოტათი დაბალ პროცენტს სთავაზობენ ლართან შედარებით, არადა გაცვლითი კურსის რისკი რომ ძალიან მაღალია, ამას მომხმარებლის დიდი ნაწილი ვერ ხვდება.

რაც შეეხება ევროპას — გარკვეული პერიოდის წინ ევროპაში შვეიცარიული ვალუტა იყო ძალიან პოპულარული, საპროცენტო განაკვეთი თითქმის ნულს უტოლდებოდა და შედარებით ბევრს შვეიცარიულ ფრანკში ჰქონდა კრედიტი, თუმცა 1 წლის წინ შვეიცარიამ ეგრეთ წოდებული „cap“ მოხსნა და ვალუტა გაძვირდა, შედეგად კომპანიებმაც და ხალხმაც დიდი ზარალი ნახა.

ფინანსისტი განმარტავს, რომ გერმანიაში ბანკებს არაპირდაპირ მაინც აქვთ შეზღუდვა უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემასთან დაკავშირებით, იმის გამო რომ მაღალი რისკი არ ჰქონდეთ. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს — გერმანიაში საშუალოდ 6-7%-ის ფარგლებშია, თუმცა, არის სესხები, სადაც განაკვეთი შესაძლო 0% იყოს. ევროპის ცენტრალურ ბანკს ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთი აქვს დაწესებული იმისთვის, რომ ეკონომიკას დაეხმაროს, ამიტომ ბანკებში ჭარბი თანხებია. თავად სესხის გაცემის პროცედურები მკაცრია, თუმცა, ძირითადი არის შემოსავალი, რომელიც უნდა ჰქონდეს მოქალაქეს, ბინა და მანქანა, უძრავი ქონება ნაკლებად აინტერესებთ.

ეკონომიკის ექსპერტი ვაჟა კაპანაძე მიიჩნევს, რომ კარგი იქნება დოლარში სესხის გაცემის არა აკრძალვა, არამედ შეზღუდვა.

„მე მუდმივად ვსვამ კითხვას — ეროვნული ბანკი ხომ არ არის ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის გაგრძელება საქართველოში? მისთვის დოლარია მთავარი თუ ლარი? ამ კითხვებს მე მუდმივად ვსვამდი და ეროვნულ ბანკს ვაფრთხილებდი, რომ დოლარიზაციის კოეფიციენტი ძალიან მაღლა მიდიოდა. ეს კი ბოლო პერიოდში ატეხილმა აჟიოტაჟმა გამოიწვია. კერძოდ, როდესაც ადამიანებს ლარში აქვთ დეპოზიტი, კურსის ცვალებადობის გამო მას დოლარში აკონვერტირებდნენ. ეს იყო ძალიან დიდი თანხა. დოლარიზაციის კოეფიციენტი 50 პროცენტი იყო, ბოლო პერიოდში კი ის 70 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია. ეს იმის მანიშნებელია, რომ ლარიდან დოლარზე დიდი ზეწოლა განხორციელდა. 2014 წლის ბოლოს, ანუ იმ დროს, როდესაც ლარის გაუფასურება დაიწყო, ემპირიული გათვლებით, დაახლოებით 1 მილიარდი ლარი წავიდა დოლარის საყიდლად. ანუ, ეს თანხა მიმართული იყო დეპოზიტებზე არსებული ლარის დოლარში გადატანაზე.

ეროვნულმა ბანკმა უნდა წაახალისოს ლარში კრედიტის გაცემა და დოლარს უფრო მაღალი დარეზერვების პროცენტები დაუწესოს. ასეთ პირობებში, კომერციული ბანკებისთვის ლარებში სესხის გაცემა უფრო მომგებიანი გახდება. ეროვნულმა ბანკმა ეს არ გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, თუ რამე ღონისძიება ჩაატარა, ამას შედეგი არ გამოუღია, მან პროცესზე ზეგავლენა ვერ მოახდინა. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების ინტერესების დამცველად გამოვიდა. შედეგად, კურსთა შორის სხვაობით კომერციულმა ბანკებმა საკმაოდ დიდი მოგება მიიღეს. ანუ ზარალი გადავიდა კერძო, კომერციულ სტრუქტურებზე, მცირე და საშუალო ბიზნესზე, ფიზიკურ პირებზე და არა კომერციულ ბანკებზე. ეროვნულმა ბანკმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კომერციული ბანკებისთვის არ ყოფილიყო ზარალიანი და ყოფილიყო მხოლოდ ეკონომიკური აგენტებისთვის და ფიზიკური პირებისთვის.“

მისი თქმით, **თუ შეიზღუდება დოლარში სესხის გაცემა, მაშინ ბანკები დოლარს კი არ მოიზიდავენ, ლარზე გადაერთვებიან.**

— მე იმას არ ვამბობ, რომ სესხების გაცემა დოლარში კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. არა, მთავარია, რომ ბანკებმა ლარში სესხის გაცემა მომგებიანი გახადონ. ამის შემდეგ, ბანკი ლარის მოზიდვას დაიწყებს, — აცხადებს ვაჟა კაპანაძე.

თუ შეიზღუდება დოლარში სესხის გაცემა, მაშინ ბანკები დოლარს კი არ მოიზიდავენ, ლარზე გადაერთვებიან.

ანაბარი - რა უნდა ვიცოდეთ, სანამ ბანკში ფულს შევიტანთ

ანაბარი ეს არის მომხმარებლის მიერ ბანკში გარკვეული პერიოდით ან უვადოდ განთავსებული თანხა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი. არსებობს ვადიანი, ზრდადი და მოთხოვნამდე ანაბრები. შესაძლოა სარგებელი მიმდინარე ანგარიშებსაც დაერიცხოს. როგორც წესი, კომერციული ბანკები ანაბრის სინონიმად იყენებენ დეპოზიტს. რაც უფრო დიდია დეპოზიტის ვადა, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი.

ვადიანი ანაბარი არის მომხმარებლის მიერ ბანკში კონკრეტული ვადით განთავსებული თანხა, რომელსაც ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ვადიანი დეპოზიტი იხსნება კონკრეტული ვადით და კონკრეტული თანხით, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კი თანხის დამატება შეუძლებელია. ჩვეულებრივ, სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით, ვადიან ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია. ვადიანი ანაბარი იხსნება დაახლოებით 3-იდან 24 თვემდე ვადით.

ზრდადი ანაბარი ვადიანი ტიპის ანაბარია, რომელიც იხსნება კონკრეტული ვადით და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. ზრდად დეპოზიტზე მომხმარებელს საშუალება აქვს, ანაბრის თანხა შეცვალოს ზრდის მიმართულებით. რიგ შემთხვევაში ბანკები განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასამატებელი თანხის მინიმალურ ოდენობასა და პერიოდულობას. როგორც ვადიანი ანაბრის შემთხვევაში ზრდადი ანაბარიც დაახლოებით 3-იდან 24 თვემდე ვადით იხსნება. საბავშვო ანაბარი ზრდადი დეპოზიტის მსგავსად გარკვეული ვადით იხსნება და მომხმარებელს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს დაამატოს მისთვის სასურველი თანხა. ამ შემთხვევაში ანაბრის ვადა შესაძლოა იყოს ბავშვის სრულწლოვანებამდე: 2-დან მაქსიმუმ 18 წლამდე.

ვადიანი და ზრდადი ანაბრის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი სრულად გაიტანს მის მიერ დაგროვილ თანხას, თუმცა, ვერ მიიღებს იმ სარგებელს, რაც თავდაპირველად, ხელშეკრულების მიხედვით იყო გათვალისწინებული.

მოთხოვნამდე/შემნახველი ანაბარი არის უვადო სახის დეპოზიტი, რომელსაც ერიცხება გარკვეული საპროცენტო სარგებელი. მომხმარებელს საშუალება აქვს შემნახველ დეპოზიტებზე თანხა შეცვალოს როგორც ზრდის, ისე კლების მიმართულებით. ოპერაციების წარმოების პერიოდულობა შეუზღუდავია. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ანაბრის თანხის დღიური განაღდების ლიმიტი არის დაწესებული. მომხმარებელი თანხის გატანის შემთხვევაში იხდის გარკვეულ განაღდების საკომისიოს. ზოგიერთ შემთხვევაში ნაღდი სახით შეტანილი თანხის გამოტანა უფასოა.

ჩვეულებრივ, შემნახველ დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელი ნაკლებია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით.

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ლარში გახსნილ ანაბრებზე საპროცენტო სარგებელი საგრძნობლად გაიზარდა, უცხოურ ვალუტაში კი შემცირდა.

„საზოგადოება და ბანკები“

⊙ მეტიჩარა მოამბეო...

როდის იყო ნაციონალები ბუნებასა და ტყე-პარკებს უფრთხილდებოდნენ!

ციხისძირში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის„ახალგაზრდა იურისტებმა“ და „პარტიზანმა მებაღეებმა“ ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიისთვის რეკრეაციული ზონის სტატუსის მინიჭებას და მასზე ნებისმიერი სახის მშენებლობის აკრძალვა გააპროტესტეს. პარალელურად, ციხისძირში გაშლილ კარვებში ღამეს ათევენ„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ამ ფორმით ისინი ასწლოვანი ხეების ამოთხრას აპროტესტებენ, რომელიც აჭარის სანაპიროდან ბიძინა ივანიშვილის ურეკის რეზიდენციაში გადააქვთ. ოპოზიციაში ამბობენ, რომ აქციები გაგრძელდება იქამდე, ვიდრე დაწყებული პროცესი არ შეწყდება.

შეგახსენებთ, აჭარის მთავრობამ გასული წლის 31 დეკემბერს გამოსცა ბრძანება №431, რომლითაც ციხისძირის ყოფილ სანერგე მეურნეობაში არსებული სამი ძირი გიგანტური ხის ამოღების უფლება კერძო კომპანიას — „შპს ზიმოს“ გადასცა. „ბათუმელების“ ინფორმაციით, შპს „ზიმოს“ 6200 ლარად, საკუთრებაში გადაეცა ერთი ერთეული ტიტას ხე (Liriodendrontulipifera) და ორი ერთეული ჭაობის კიპარისის ხე. „აღნიშნული ხემცენარეები კომპანიას გადაეცა ოზურგეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მასშტაბური პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც ქვეყნისათვის და უშუალოდ ამ რეგიონისათვის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს“, — წერია აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

№25. ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 2016 წელი.

რა ფასი აქვს პოლიტიკურ სიტყვას?!

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არჩევნები 23-ჯერ ჩატარდა!



ხელისუფლებისთვის 2016 წლის არჩევნები ერთგვარი ნაკიანი წელიწადია, ანუ ეს ის სიტუაციაა, როცა ხელისუფლება განიცდის ხალხის საჭიროებას და არა ხალხი ხელისუფლების საჭიროებას.

წელიწადში, ან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საქართველოში საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს ან მერის არჩევნები (1990 წლის შემდეგ, საქართველოში არჩევნები 23-ჯერ ჩატარდა!)

პოლიტიკური ცვლილებების ეკონომიკური შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველო შეფასებულია საშუალოზე დაბალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად, რომლის მშპ-ი მხოლოდ 29,1 მლრდ ლარს შეადგენს.

სამწუხარო რეალობაა, რომ მთავრობის საკადრო რესურსების პირობებში არსებული ინსტრუმენტები, მართვის მეთოდები, „პოლიტიკური სიტყვა" და პროგრამები ვერ აღწევს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს. სამთავრობო გარემო მოქმედებს ინერციითა და საერთაშორისო მოთხოვნებით.

არჩევნების შედეგად იზრდება:

- **პოლიტიკური ინვესტიციების რაოდენობა;**
- **დაპირებების სიდიდე;**
- **საზოგადოების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისა და ინსპირირების ფორმები;**
- **უცხოური და შიდა ინვესტიციები პოლიტიკურ კამპანიაში;**
- **პოლიტიკური ნდობის მოპოვების წამქეზებელი ფორმები და შთაგონების ინსტრუმენტები;**
- **სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი იმედები და მოლოდინი;**
- **პოლიტიკურ კამპანიაში ჩართულ პირთა შემოსავლები (მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში);**
- **ინფორმაციული პროპაგანდისა და აგრესიული რეკლამის ინტენსივობა;**
- **ყურადღების გამახვილება ყოფილი პოლიტიკოსების შეუცვლელ როლზე (გზა ხსნისა მხოლოდ მათშია).**

თუ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე ხარ, სიმართლე არ დაგეკარგება. ქვეყანაში დამკვიდრებულია ტენდენცია, რომ თუ თანამდებობაზე არ ხარ, ან პოლიტიკურ პარტიას არ მიეკუთვნები, ან ფორმალური თუ არაფორმალური მმართველების მფარველობა არ გაგაჩნია, პოლიტიკური გარემოს ყურადღებას ვერ იმსახურებ. შესაბამისად, შენი სიტყვის „ფასიც" დაბალია.

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფასურდება:

- **პოლიტიკური სიტყვის ფასი;**
- **ინფორმაციული გარემოს ფასეულობა;**
- **„პოლიტიკურად სუფთა" ინტელექტუალური კაპიტალი;**
- **ვალუტის კურსი;**
- **საზოგადოების ოპტიმისტური მოლოდინი მოკლევადიან პერსპექტივაში;**
- **რესურსამოწურული პოლიტიკური გარემოს პოლიტიკური ღირებულება.**

ბიზნესსექტორის ორგანიზების პრინციპია იმ თანამშრომლების ახლით შეცვლა, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს, ბიზნესისთვის სარგებელი არ მოაქვს, ბიზნესის ტემპს ფეხს ვერ უწყობს, შრომის ნაყოფიერება დაბალია. სახელმწიფო სექტორში ასეთი ორგანიზების პრინციპი არ არსებობს.

არსებითია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების **აქტივობები არ ფასდება და არც იზომება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა:**

- **ცალკეული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ეკონომიკური სარგებელი (მშპ-ში);**
- **ქვეყნის განვითარებაში თითოეული პირის პოლიტიკური აქტივობის შედეგები;**
- **დარგის განვითარებაში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აქტივობის შედეგები;**
- **დასრულებული სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შედეგები;**
- **ეკონომიკური სტიმულირებისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შედეგები;**
- **შემუშავებული სახელმწიფო პროგრამების ეკონომიკური ფასეულობა და სარგებელი;**
- **ეკონომიკური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შედეგები;**
- **ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროები;**
- **ახალი ბიზნეს-მოდელების წარმოჩენისა და დასაქმების ზრდის ხელშეწმყობი პროგრამები.**

ქვეყანაში ერთგვარ სტერეოტიპად იქცა ის ფაქტი, რომ ნებისმიერი იდეა თუ პროექტი, სანამ საქართველოში განხორციელდება, აპრობირებული უნდა იყოს სხვა ქვეყნებში. „ახალ პროექტად" მიიჩნევა ის, რომელიც მოწინავე ქვეყნებიდანაა გადმოღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას განიხილავენ, როგორც არაეფექტიან და გაურკვეველი მომავლის პროექტს.

შესაბამისად, აღნიშნულ ფონზე, კვლევებზე დაფუძნებული, საქართველოს რეალობასა და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული პროექტების რიცხვი მცირეა. ფრაგმენტულია ქართული რესურსის გამოყენება სახელმწიფო პროექტების შემუშავებაში (განსაკუთრებით მეცნიერ-მკვლევარების პოტენციალი).

სახელმწიფო პროექტების შემუშავებაში ქართული სამეცნიერო რესურსის გამოყენების საჭიროება, ხაზგასმულია ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპებში. ინსტიტუტი მიმართულია სამთავრობო პრობლემების ფორმულირების, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე.

საქართველოს საზოგადოებისთვის, 2016 წლის არჩევნებში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური კონტექსტი.

ამ კონტექსტში პოლიტიკური პარტიები შეფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- **ეკონომიკური ზრდის მიღწევის სცენარი და განვითარების გზები;**
- **ეკონომიკური პოლიტიკის ვექტორი და ხედვები;**
- **სახელმწიფო განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და შემუშავებული გეგმები;**
- **სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი პროგრამები;**
- **არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მოსალოდნელი სარგებელი;**
- **არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პროფესიული შედეგები და აქტივობები;**
- **პოლიტიკური შედეგების ეკონომიკური და არაეკონომიკური აქტივობები;**
- **არჩევნებში მონაწილე კანდიდატის სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციები.**

საქართველოს საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ რესურსამოწურულ პოლიტიკურ სივრცეში ქართული პოლიტიკური გარემო საჭიროებს ახალ პოლიტიკურ ელიტას, ახალ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელიც ფორმირებული იქნება მეცნიერ-მკვლევარებით.

შესაბამისად, პოლიტიკური სიტყვის ფასის ზრდა და საქართველოს განვითარება შესაძლებელია, მხოლოდ:

- **ახალი პოლიტიკური რესურსით, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებითა და ინტელექტუალებით;**
- **პოლიტიკოსების ინტელექტუალური კაპიტალითა და მასებზე ზემოქმედების უნარით;**
- **რეფორმების გატარების სიმამაცით, პრობლემების გადაჭრის უნარით, კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობებით;**
- **გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებთან ადაპტაციის უნარის მქონე სახელმწიფო მოხელეებით;**
- **საქართველოს საზოგადოების გააქტიურებითა და გაორმაგებული ძალებით;**
- **გლობალური ზრდის მამოძრავებელი სტრატეგიებითა და გეგმებით;**
- **საქართველოს აუთვისებელი პოტენციალის ათვისებით;**
- **მთავრობის ეფექტიანი ბიუროკრატიული მექანიზმებითა და სამთავრობო ორგანოების სიდიდით;**
- **ნოვატორი, ქარიზმატული და „მკაცრი ხელის" მმართველებით.**

საბოლოოდ, პოლიტიკური ცვლილებები გახდება იმის გარანტი, რომ ახალმა პოლიტიკურმა ძალამ მოკლევადიან პერსპექტივაში შექმნას:

- **ეკონომიკურად ევროპული დონის ქვეყნის შექმნა;**
- **ნოვატორული აზროვნების მმართველობითი გარემოს ფორმირება;**
- **მძლავრი სახელმწიფო სისტემის ფორმირება;**
- **კოორდინირებული და ერთიანი საზოგადოების ფორმირება;**
- **სახელმწიფო მმართველობის ისეთი მექანიზმის შექმნა, როდესაც სამართლებრივი პასუხისმგებლობით განისაზღვრება არაეფექტიანი მართვა, უშედეგო რეფორმა, ჩავარდნილი პროგრამა, განუხორციელებელი სახელმწიფო პროექტი;**
- **პოლიტიკური გარემოს ფორმირება, სადაც აღარ იქნება ნეპოტიზმი და „ჩაკეტილი პოლიტიკური წრე". გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, წარმოჩინდება ახალი კანდიდატები, „დირექტივების გარეშე" მოხდება რეფორმების გატარება, გაჩნდება მმართველობაში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების საჭიროება;**
- **სახელმწიფოს მართვა მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო სექტორის თანაბარუფლებიანი მონაწილეობით;**



ეროვნული „პოლიტიკური სიტყვა" მოძრაობაში მოიყვანს საზოგადოებას, გააძლიერებს სახელმწიფო სისტემას, აამაღლებს საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და აქტივობას, გაზრდის ხელისუფლების ნდობას და მართვის ეფექტიანობას.

რატი აბულაძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

◎ კაკალ გულში

წიწილოვანი თეზისები

- **ჩვენ, ქართველები, ძაალიან მაგრები ვართ!**

ზოგიერთებს ეჭვი შეაქვთ იმ ისტორიულ ჭეშმარიტებაში, რომ ჩვენ გადავიტანეთ ოსმალები, გადავიტანეთ მონგოლები, გადავიტანეთ ყიზილბაშები, არაბები დ.ა.შ.

როდესაც ჩვენ გვყავს მთავარსარდლად გიორგი მარგველაშვილი, გვყვანან მთავარ კანონმდებლებად გუგული მაღრაძე, თოფაძე, ტყემალაძე, გაბაშვილი, ჩიორა, კანდელაკი, დ.ა.შ. გვყვანან მინისტრებად სანიკიძე, ხადური დ.ა.შ. გვყავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ქადაგიძე დ.ა.შ. და ამ ყველაფერს ვუძლებთ, ჩვენზე მაგარი ერი არ არსებობს!!

- **„NATO-NATO!"-ს ძახილმა ხე გაახმოო, — ნათქვამია.**
- **რეფორმების ინტეგრირება არ მოგვაკლდეს და დანარჩენს გაუძლებენ! (ახლა არ მკითხოთ, ვინო. მე – პას!)**
- **მაპს არ გვაძლევენ კვლავ, მაგრამ ძლიერ განცხადებას ველოდებითო!!!**

ხომ ვამბობდი, ერთი ძლიერი განცხადება არ დაგვიშლიდა-მეთქი,თან შაბიამნის ახალი პარტიაც შემოიტანეს!

- **ისე ჩანს, NATO ამ ევროატლანტუმეების შიოლაა, ანუ არცა ყოფილა და ამათ გამოიგონეს, თავიანთი უმწეობის, უილაჯობის და უჯიშობის შესალამაზებლად.**

თუმცა, გამაადგათ რო-ო?..

- **ამ სტატუსის უკან პოლიტიკური ინტერესი იმალება. ტყუილად ნუ ეძებთ, ძალიან ეშმაკურად იმალება,მეც ვერ ვპოულობ!**
- **რა ლამაზი დღეა, რა ნათელი მზეა,**

იმიტომ რომ დღეს, თინა ხიდაშელი ბრიუსელში ნატოს მინისტერიალს დაესწრება.

- **იმდენი მფლობელი გამოუჩნდა „მაესტროს", რომ ეჭვი შემეპარა, ვაითუ მეც მაქვს რაღაც წილი და ასაკის გამო აღარ მახსოვს-მეთქი...**
- **თუ მეტყვი, რომ შენი უახლოესი მეგობარი კვირიკაშვილია, შენ გია გაჩეჩილაძე ხარ. ხოლო თუ კეზერაშვილია შენი უახლოესი მეგობარი, შენ ხარ ნიკა გვარამია.**

(ციკლიდან: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და მე გეტყვი ვინა ხარ შენ")

- **ღმერთო, ხიდაშელის გამომეტყველების („სიფათს" არ ვამბობ, თუმცა კლავიატურა მიკაწკაწებს) ნახვას მომასწარი, როდესაც მას ვინმე, მისთვის ურყევი ავტორიტეტი ეტყვის, რომ NATO-ზე ამაო და სახიფათო ფიქრს თავი დაანებოს და რამე უფრო სასარგებლო საქმიანობას მიჰყოს ხელი!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ᲑᲐᲑᲐ ᲕᲐᲜ�გᲐᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ

ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲘᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲚᲘᲗᲘ ᲓᲚᲔ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲘᲕᲡᲔᲑᲐ.

ერთი ასეთი ადამიანი საუკუნეზე მეტი ხნის, უფრო ზუსტად კი 105 წლის წინათ, მაკედონიის პატარა ქალაქ სტრემიცაში დაიბადა და მას ვანგელია დარქვეს, რაც ქართულად „კეთილ ამბავს“ ნიშნავს. სწორედ კეთილ ამბებს ელოდა მისგან აუარება მომლოცველი, რომელთათვის იგი ბაბა ვანგას სახელით იყო ცნობილი.

ᲬᲐᲬᲧᲔᲓᲘᲚᲘ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ

ლეგენდით, ბავშვობაში გოგონა თავს უცნაური თამაშებით ირთობდა: ნივთებს სახლში ან ბაღში მალავდა, შემდეგ კი თვალდახუჭული ეძებდა. 12 წლის ასაკში თავს უბედურება დაატყდა: შინ რომ ბრუნდებოდა, გრიგალმა მინდორში გაიტაცა, სადაც შემდეგ მიწამიყრილი, ქვიშით ამოვსებული თვალებით ნახეს. მკურნალობის ფული ოჯახს არ ჰქონდა და საბრალო გოგონამ თვალისჩინი დაკარგა.

კიდევ ერთი ლეგენდით, მას შემდეგ, რაც დაბრმავდა, ვანგამ წინასწარმეტყველური სიზმრების ნახვა დაიწყო, 1941 წელს კი თეთრ ცხენზე მხედარი ეზმანა, რომელმაც უთხრა: „შენ ქვეყანას მკვდართა და ცოცხალთა ამბებს აუწყებ!“ იმ დროს ომში წასული ახლობლების ამბის გაგება ყველას სურდა, ამიტომაც ვანგას სახლთან ხალხის რიგები დადგა, წინასწარმეტყველის ამბავი, რომელიც ახლობლებს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ამბებს ამცნობდა, უმალ მოედო ირგვლივ სოფლებს. მასთან მისულ ხალხს ვანგა მომავლის ამბებსაც უყვებოდა, ოღონდ ხატოვნად და საკმაოდ ბუნდოვნად.

თავად ვანგა ამბობდა, რომ **ყველაფერს... გარდაცვალილთაგან იგებდა:** „როცა ჩემს წინ კაცი დგას, მის ირგვლივ ყველა მისი გარდაცვლილი ახლობელი იკრიბება. ისინი თავადაც მისვამენ კითხვებს და ჩემს კითხვებსაც ხალისით პასუხობენ. მათგან გაგონილს კი მე ცოცხლებს გადავცემ“.

სწორედ ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ ეკლესია ვანგას ფენომენს მკვეთრად უარყოფითად უდგებოდა და ეს დამოკიდებულება არც დღესდღეობითაა შეცვლილი: ითვლება, რომ გარდაცვლილ ადამიანთა სახებით მას წაწყმედილთა სულები ეცხადებოდნენ, რომლებთან ურთიერთობა, ცხადია, დაუშვებელია.

ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲘᲡᲘᲪ უნდა ითქვას, რომ ვანგას, როგორც ბრძენი წინასწარმეტყველის სახის შექმნაში, დიდი როლი მისმა ნათესავებმა შეასრულეს, რომლებმაც ამაზე საკმაოდ სარფიანი ბიზნესი ააწყვეს. ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲜᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲦᲐᲯᲡᲐ 50 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. არსებობს მოსაზრება, რომ „ვანგას ინდუსტრიაში“ უამრავი ხალხი იყო ჩაბმული – ადგილობრივი ტაქსის მძღოლები, სასტუმროების მომსახურე პერსონალი, კაფე-ბარების ოფიციანტები, რომლებიც ამბების მიმტანებად მუშაობდნენ. ისინი ჩასულ ხალხს დაწვრილებით გამოჰკითხავდნენ ჩამოსვლის მიზეზს, პრობლემებს, შემდეგ კი ამბავს ვანგას გარემოცვას უყვებოდნენ. **ადამიანს აუდიენციის ლოდინი კვირაობით უწევდა, რა დროშიც გარშემო მყოფთ მთელი თავისი ცხოვრების ამბის მოყოლას ასწრებდა ხოლმე...**

რაღაც მომენტში, ამ „ბიზნესში“ ბულგარეთის ხელისუფლებაც ჩაერთო, ბაბა ვანგა ეროვნულ ბრენდად აქციეს – 1967 წლიდან მოყოლებული იგი სახელმწიფო სამსახურში იყო და ფიქსირებულ ხელფასს იღებდა, ხოლო როგორც „ღირსშესანიშნაობას“, მასთან აუცილებლად საპატიო სტუმრებიც ჩაჰყავდათ. **მათ შორის კი მრავლად იყვნენ პოლიტიკოსები, დიპლომატები, სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლები. ზოგიერთ მათგანს კი ვანგასთვის სახელმწიფო ინტერესის შემცველი ცნობების გადაცემაც შეეძლო, ამიტომაც მისი კურირება ბულგარეთის სპეცსამსახურებმა დაიწყეს.** თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სარფიანი იყო: ბაბა ვანგას მორიგი ვიზიტორის დოსიედან ამოღებულ ცნობებს აწვდიდნენ, თავად კი ბულგარელი ჩეკისტებისთვის საინტერესო ინფორმაციის გამოტყუებას ცდილობდა.

ვანგას პროგნოზების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ისინი საკმაოდ ბუნდოვანი, ერთმანეთის გამომრიცხავი მინიშნებებით გამოითქმეოდა, თანაც ის, რაც თითქოსდა აღსრულდა, ცოტა არ იყოს, ზოგჯერ ყურით მოთრეულის შთაბეჭდილებას ტოვებს. **და მაინც, ის უნიკალური ადამიანი იყო, რომელსაც, მავანნი საკმაოდ მოურიდებლად იყენებდნენ. მას შემდეგ, რაც თვალისჩინი დაკარგა, მან საკუთარ თავში ხმოვანი ინფორმაციის გარჩევის არაჩვეულებრივი ნიჭი გამოიმუშავა.** ეს მას ადამიანის პიროვნების გაშიფვრის საშუალებას აძლევდა, რასაც სპეცსამსახურებისგან მიღებული ცნობებიც ემატებოდა. აი, სწორედ მისი ეს უნიკალური თვისებები უნდა შეესწავლათ უწინარესად სპეციალისტებს და ხელები არ ექნიათ – აქაოდა, ტელეპატიას არ შევისწავლითო. სხვათა შორის, ბაბა ვანგა ტელეპატი არც ყოფილა, იგი გამორჩეული ექსტრასენსი იყო.

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲐᲪᲔᲚᲡᲘ

(1483-1541, შვეიცარია). მან ევროპის კონტინენტზე სსრკავშირის გაჩენა იწინასწარმეტყველა: „ეს დიდი სახელმწიფო იქნება, რომელიც დედამიწის ნახევარს დაიკავებს და თითქმის საუკუნეს იარსებებს“. პარაცელსმავე იწინასწარმეტყველა მესამე მსოფლიო ომი ბირთვული იარაღის გამოყენებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ბევრი სხვა რამ.

ᲛᲘᲨᲔᲚ ᲜᲝᲡᲢᲠᲐᲓᲐᲛᲣᲡᲘ

(1503-1566, საფრანგეთი). მისი წინასწარმეტყველებები ალეგორიებით იმდენადაა გაჯერებული, რომ მათი ბოლომდე გაშიფვრა დღესაც ვერ შეძლეს. მან იწინასწარმეტყველა რომანოვების დინასტიის შეცვლა, ოქტომბრის გადატრიალება, მეფე ანრი II-ის უცნაური სიკვდილი და სხვა.

ᲑᲔᲠᲘ ᲐᲑᲔᲚᲘ

(1757-1841, რუსეთი). საერო სიცოცხლეში ეს იყო გლეხი ვასილი ვასილის ძე. იგი ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ წინასწარმეტყველადაა მიჩნეული. მან იწინასწარმეტყველა დედოფალ ეკატერინე II-ისა და იმპერატორ პავლე I-ის გარდაცვალების ზუსტი თარიღები, ნაპოლეონის რუსეთზე ლაშქრობა, მოსკოვის დაწვა და ბევრი სხვა რამ.

ᲔᲓᲒᲐᲠ ᲙᲔᲘᲡᲘ

(1877-1945 , აშშ). მან ამერიკაში დიდი დეპრესია, ასევე ორივე მსოფლიო ომი, ლაზერის გამოგონება, სსრკავშირის დაშლა და ბევრი რამ სხვა იწინასწარმეტყველა.

ᲕᲝᲚᲤ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲘ

(1899-1974, სსრკავშირი), უამრავი ზუსტი წინასწარმეტყველების გარდა, მან კონკრეტულ ადამიანებს ი. სტალინის გარდაცვალების ზუსტი თარიღი, საკუთარი სიკვდილის დრო, მესამე რაიხის დაცემა და ბევრი სხვა რამ იწინასწარმეტყველა.

◎ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ – ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ სიცოცხლეს ყველა ადამიანი ნატრობს, ამიტომაც, ხშირად, ერთგვარად პარადოქსული დასკვნები გამოაქვს ბუნების სხვადასხვა „უცნაურობიდან“. მაგალითად, როგორც ვიცით, კუ ძალიან ნელა იზრდება, მოძრაობს და საოცრად დიდხანს ცხოვრობს. იქნებ ამაშია ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო?

ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი გერონტოლოგი **ვლადიმერ ანასიმოვი,** აცხადებს, რომ კუს ცხოვრების ნელი ტემპი მართლაც შეიძლება იყოს მისი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა კი ეჭვობს, რომ ამას ადამიანთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, რადგან ჩვენგან განსხვავებული გენეტიკა აქვს.

– ადამიანი კი აუცილებლად აქტიური უნდა იყოს, ეს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, – ამბობს მეცნიერი. – იდეალში, ადამიანის სიცოცხლე გაწონასწორებული უნდა იყოს და დიდი სტრესების გარეშე მიედინებოდეს. თუმცა არც ამის გარეშე ივარგებს – პატარ-პატარა დოზით სტრესებიც სასარგებლოა, თუმცა კი მათზე მშვიდად რეაგირებაა საჭირო.

ისე კი, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყოველ წელს 3 თვით მატულობს. თუკი მე-19 საუკუნეში ევროპელები, საშუალოდ, 38 წელს ცოცხლობდნენ, ახლა, ეს ასაკი 70 წელია. ცხადია, ზღვარს ოდესღაც მივაღწევთ, თუმცა კი მანამდე ცივილიზაცია ამ ბარიერს თანდათან უკან-უკან სწევს.

ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲗᲝᲣᲜᲯᲘ

ᲡᲐᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲓ ცნობილი უძველესი მეგალითური კომპლექსის სთოუჰენჯის გვერდით, ბრიტანელმა არქეოლოგებმა 1,6 კილომეტრის მოშორებით, მისი უფრო გრანდიოზული ვერსია აღმოაჩინეს, რომელიც მიწის წიაღში 4,5 ათასი წლის მანძილზე იყო დამარხული.

„ახალი სთოუჰენჯი“ 90 ქვის ლოდისგან შედგება, რომელთაგან ზოგიერთის სიმაღლე 4,5 მეტრს აღწევს. ისინი 1,5 კილომეტრის რადიუსის წრეზე არიან განთავსებულნი. მონუმენტი მიწაში დაახლოებით მეტრის სიღრმეზე იყო ჩაფლული, მისი აღმოჩენა მკვლევარებმა სპეციალური რადარით შეძლეს.

– მიგვაჩნია, რომ მსგავსი რამ მსოფლიოში სხვაგან არსად არის, ესაა რაღაც გრანდიოზული, მისი მასშტაბი გამაოგნებელია, – განაცხადა ბრედ ფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, საძიებო პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ვინს ჰაფანიმ.**

მისი აზრით, „სუპერსთოუნჯს“ რიტუალური ან რელიგიური დანიშნულება ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ თავად სთოუნჰენჯი დიდი ბრიტანეთის უილთშირის საგრაფოში მდებრე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლია. იგი 30-მეტრიან წრეზე განლაგებული 30 მონოლითისგან შედგება.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ შემდეგ ჯანმრთელობის სწრაფ აღდგენას ხელს უწყობს... ყველის მოხმარება.

ყველს დასუსტებულ ორგანიზმში საჭირო ცილები და ამინომჟავები შეაქვს, რომლებიც აღადგენენ ნივთიერებათა ცვლას, ეს პროცესები კი, თავის მხრივ, ხელს უწყობენ უჯრედების განახლებას, ასევე კარგი განწყობის შემქმნელ ცხიმებს წარმოშობს.

ამასთან, ყველი მდიდარია ისეთი ვიტამინებით, რომლებიც კანის რეგენერაციისთვისაა საჭირო.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

არც საინტერნეტო ფული ყარს...

„ძართული ოცნების“ მთავრობის ოპონენტები არ წყვეტენ, ბრალი დასდონ ხელისუფლებას იმ კომპანიებთან კულისებსმიღმა მოლაპარაკებაში, რომლებიც ასოციირდებიან რუსეთის ხელისუფლებასთან. ამჯერად საუბარი შეეხება შესაძლო გარიგებას რუსეთის „ვიმპელკომსა“ და ქართულ ინტერნეტ-პროვაიდერ“„კავკაზუს ონლაინს“ შორის. ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ გარიგებას ლობირებას უკეთებენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები საქართველოში, რომლებიც არ არიან წინააღმდეგი იმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყიდვისა, რომელიც საქართველოს ევროპასთან აკავშირებს.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ მოითხოვეს განმარტება ხელისუფლებისაგან. ოპოზიციონერები, სარწმუნო წყაროებზე მითითებით, ამტკიცებენ, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა დაინტერესებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის ვარნა-ფოთის რუსულ კომპანია „ვიმპელკომისთვის“ მიყიდვით. ეს ხაზი შავი ზღვის ფსკერზე გადის. საკითხი შეეხება სტრატეგიულად მნიშვნელოვან მაგისტრალს, განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსი პეტრიაშვილმა:

„რუსული „ვიმპელკომის“ წარმომადგენლები ხვდებოდნენ როგორც „კავკაზუს ონლაინის“ წარმომადგენლებს, ისე საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს და ეს მოლაპარაკებები იყო დასკვნით ფაზაში“.

თუ ვის გულისხმობდა ოპოზიციონერი მაღალი რანგის თანამდებობის პირებში, ძნელი გამოსათვლელი არ ყოფილა. რუსეთის კომპანიის წარმომადგენლებს დავოსში ხვდებოდა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც იქ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდა. თუ რისთვის გაიმართა ეს შეხვედრა, განმარტა თავად გიორგი კვირიკაშვილმა:

„მე თავად ვიყავი წინააღმდეგი მაგისტრალური ინფრასტრუქტურის გაყიდვისა, ვინაიდან მას სტრატეგიული დანიშნულება აქვს. კომპანია „ვიმპელკომი“ არ აპირებს იყიდოს მაგისტრალური ინფრასტრუქტურა, საკითხი შეეხება ჩვეულებრივ ბიზნესგარიგებას, რომლის დადებაშიც მე ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ“.

მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერთოს კომპანიის ბიზნესსაქმიანობაში, და მოუწოდეს ოპონენტებს შეწყვიტონ ამ თემაზე პოლიტიკური სპეკულაციები.

კომპანია „კავკაზუს ონლაინის“ გვერდზე გაჩნდა განცხადება, რომ მას განზრახული აქვს გაყიდოს მხოლოდ ცალობრივი სეგმენტი. იგივე გაიმეორა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემაც:

„მარტივად რომ ვთქვათ, საკითხი შეეხება რიტეილს, საცალო სეგმენტის გაყიდვას იმ ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში, სადაც ინტერნეტის მომხმარებლებს ემსახურება „კავკაზუს ონლაინი“.

თუმცა ქართულ ბაზარზე „ვიმპელკომის“ გამოჩენის მოწინააღმდეგეები ამ განცხადებებმა არ დაამშვიდეს. თუ არა თავად მაგისტრალს, აბონენტების პირად მონაცემებს კონტროლს გაუწევს რუსული კომპანია, მიაჩნიათ მათ. პროფილური სპეციალისტები კი ასეთ საფრთხეს საგანგებოდ მიიჩნევენ. ბევრი შეგვახსენებს, რომ ამ სფეროში უკვე დიდი ხანია, მოქმედებს რუსი კაპიტალი. დამოუკიდებელი სპეციალისტი ინტერნეტ ტექნოლოგიებში კონსტანტინ სტალინსკი გვარწმუნებს, რომ არცერთი ოპერატორი ან პროვაიდერი ძალოვანი სტრუქტურების სპეციალური თანხმობის გარეშე ვერ შეძლებს, განახორციელოს ასეთი საიდუმლო თვალყურის დევნება, ან მოსმენა საქართველოში. სხვათა შორის, ქართველი პროვაიდერების შემთხვევაშიც კი პირადი მონაცემების საალბათო შერწყმის დროს მეორე მხარეში, მომხმარებლები დაზღვეულები არ არიან. კონსტანტინ სტალინსკის უფრო მეტად სხვა საკითხი აღელვებს:

„ბაზარზე კვლავ ორი ძირითადი მოთამაშე დარჩება („სილქნეტი“ და „კავკაზუს ონლაინი“). შესაბამისად, ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესების ან ტარიფის შემცირების შესახებ საუბარი არ იქნება. როდესაც ბაზარი არ არის დივერსიფიცირებული, მთავარ მოთამაშეს ხომ გაცილებით უფრო უადვილდება დადოს კარტერული გარიგებანი. სამწუხაროდ, მიმდინარეობს ბაზრის გადანაწილება და არა ახალი ინფრასტრუქტურების ერთეულების შექმნა. უკმაყოფილოა სტალინსკი იმითაც, რომ, მიუხედავად სოფლების „ინტერნეტიზაციის“ დაპირებებისა, „ქართული ოცნების“ მთავრობა ამ მიმართულებით ჯერჯერობით არაფერს აკეთებს.

მოხდება თუ არა გარიგება „კავკაზუს ონლაინსა“ და „ვიმპელკომს“ შორის, პასუხი ამ შეკითხვაზე ცნობილი გახდება 9 თებერვალს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომის შემდეგ.

Эхо Кавказа

◎ 2008 წლის ომის ექო

ვის დასჯის ჰააგის ტრიბუნალი?

(მეორე გვერდიდან) ეთნოწმენდას რომ ადგილი ჰქონდა, ეს ყველამ ჩვენი თვალით ვიხილეთ, როგორ გადაწვეს ქართველთა სახლები, რომ მათ დაბრუნების შანსი არ ჰქონოდათ. და ძალიან მნიშვნელოვანი რაც არის, ჰაააგის პროკურორი დაინტერესებულია არა მხოლოდ ომის პერიოდით, არამედ იმითაც, თუ რა ხდებოდა ომამდე რამდენიმე დღით ადრე, რა ხდებოდა ომის შემდეგ — ოქტომბრის ჩათვლით... ეს ის პერიოდებია, როცა სეპარატისტებისა და რუსების მხრიდან მიზანმიმართულად ხორციელდებოდა ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ აგრესიული ქმედებები.

— ბატონო ირაკლი, ჩვენ ვსაუბრობთ ქართული მხარის ინტერესებზე, მაგრამ ომის მსხვერპლი გახდა ოსური მხარე, ცხინვალის მოსახლეობა, რომელიც დაზარალდა და რომელიც იურიდიულად ჩვენივე მოქალაქეები არიან: რას იტყვის ამაზე გამოძიება, როგორ ფიქრობთ?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე თავს შევიკავებ წინასწარი განცხადებებისგან, რადგან ეს არის სწორედ ჰაააგის პროკურორის გადასაწყვეტი და გამოსაძიებელი. თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა, პასუხი აუცილებლად უნდა აგოს.

— რას გულისხმობს პასუხისმგებლობა?

— ჩვეულებრივად, გაიმართება სასამართლო პროცესი...

— და უმაღლესი პირები, მაგალითად, პუტინი ან სააკაშვილი დაისჯებიან?

— ამ სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, რომ პირველი პირები დაუდანაშაულებიათ და სასამართლოც გამართულა... ასე რომ, ყველაფერი დასაშვებია.

— დროის ფაქტორი თუ არის განსაზღვრული?

— არა. რა დროც დასჭირდება პროკურორს, იმდენ ხანს გაგრძელდება გამოძიება.

— ახლა რა ეტაპზეა ძიება და რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?

— წინა სასამართლო პროცესი უკვე გაიმართა და პროკურორმა მიიღო უფლება, ჩაატაროს გამოძიება. ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვართ.

— და მაინც, რაც ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას, დაზარალდება თუ არა ჩვენი ქვეყნის ინტერესები?

— ქვეყნის ინტერესებზე არ არის საუბარი. ჩვენი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა ჩაიდინა ისეთი დანაშაულები, როგორიც არის ეთნოწმენდა, ადამიანის წამება, დამოუკიდებელი ქვეყნის დაქუცმაცება, რაც ყველასთვის ისედაც ცხადია და ხელისგულზე დევს. მაქვს მოლოდინი, რომ ის ბრალდება, რომელიც ისმის ამ ბოლო დროს რუსეთის მხრიდან, რომ ქართველმა სამხედროებმა ჩაიდინეს დანაშაული და რუს სამშვიდობოებზე თავდასხმა მოახდინეს, გაქარწყლდება. თუკი ჰაააგ დასჯის კონკრეტულ დამნაშავეებს, ეს იქნება ობიექტური და მას არანაირი პოლიტიკური ელფერი არ ექნება.

ესაუბრა
თეა მოსია

რედაქციისგან:

ფატუ ბენსუდას ობიექტურობაში ეჭვის შეტანა ნამდვილად უაზრობა იქნებოდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ომში ცალმხრივი დამნაშავე არ არსებობს. წამება, ადამიანის კვლა, არაადამიანური მოპყრობა და ა. შ. ომის დაუწერელი კანონებია. გამოძიების პროცესში იკვეთება, რომ კვალი პუტინამდე მიდის, რომ შეიძლება კოკოითის დადანაშაულებაც. მაგრამ უნდა აგოს თუ არა პასუხი სააკაშვილმა, რომელიც ფართომასშტაბიანი ომის ერთ-ერთ ინიციატორად გვევლინება?! ნამდვილად არ გვინდა საქართველოს, როგორც ქვეყნის იმიჯი, დაზარალდეს, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, რომ კონკრეტული დამნაშავე უნდა დაისაჯოს და მკაცრად აგოს პასუხი!

დედამიწის ზურგზე

გერმანიაში ორი მატარებლის შეჯახების დროს 150 კაცი დაზარალდა

ინციდენტი მოხდა დაახლოებით 60 კილომეტრზე მიუნხენიდან სამხრეთ-დასავლეთში. სულ ცოტა 8 მგზავრი დაიღუპა, შემთხვევის ადგილზე ჩავიდა ავარიული სამსახურები.

მოსკოვი უარს აცხადებს ანკარასთან პირდაპირ კონტაქტებზე, კვლავ ითხოვს ბოდიშის მოხდას სუ-24-თან დაკავშირებული ინციდენტის გამო

გაეროსთან არსებული თურქეთის მუდმივი წარმომადგენლობის წერილში საუბარია „თურქეთის საჰაერო სივრცის კიდევ ერთ დარღვევაზე რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავების მიერ“, რაც დაფიქსირდა თურქეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მიერ 29 იანვარს. როგორც ამტკიცებენ, ანკარამ არ მიიღო მოსკოვის ნებართვა ინციდენტის განხილვის შესახებ ორი პრეზიდენტის მიერ ტელეფონით.

გაეროში იტყობინებიან ხალხის დაღუპვის შესახებ ალეპოზე და 2 საავადმყოფოზე დარტყმების დროს

ასადის შეტევის დროს რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით გაეროს საგანგებო დახმარების კოორდინატორმა სტივენ ო' ბრაიენმა განაცხადა, რომ დიდად შეშფოთებულია ალეპოსა და სირიის ჩრდილოეთში არსებული სხვა ქალაქების მცხოვრებთა ბედით. საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში 30 ათასზე მეტი კაცი იძულებული გახდა გამხდარიყო გასახლებული, მათგან ლტოლვილი, 80 პროცენტი ქალები და ბავშვებია.

ტაივანზე მიწისძვრისაგან მსხვერპლთა რიცხვი კვლავ იზრდება, დაიღუპა 40 კაცი

ტაივანის მერის უილიამ ლაის სიტყვებით, სამაშველო ოპერაცია გრძელდება. სპეციალისტები განიხილავენ საკითხს მძიმე ტექნიკის გამოყენების შესახებ 17-სართულიანი სახლის ნანგრევების მოწესრიგების დაჩქარებისათვის. სამშაბათს იმ შენობის ამშენებელი, რომელიც ჩამოინგრა მიწისძვრის შედეგად, დააპატიმრეს ტაივანის პროკურატურის ორდერით.

საუდის არაბეთმა დაადასტურა მზადყოფნა, გაგზავნოს სირიაში სპეციალური დანიშნულების რაზმი

სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ადელ-ალ ჯუბეირის სიტყვებით, ამჟამად ხელისუფლება განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით სირიაში კოალიციის მიერ სახმელეთო ოპერაციის წარმოების შესახებ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საუდის არაბეთმა გამოთქვა მზადყოფნა, გაუგზავნოს სპეციალური დანიშნულების თავისი რაზმი, თუ ასეთი ოპერაცია მოწონებული იქნება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გაშვებული თანამგზავრი „ყირაზე დგება ორბიტაზე“, განაცხადეს ამერიკის დაზვერვაში

ექსპერტებს ეჭვი შეეპარათ ჩრდილოეთი კორეის განცხადებაში იმის შესახებ, რომ თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანა წარმატებული იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ, რომ კოსმოსურ აპარატს არ შეუძლია გადმოსცეს თუნდაც რაიმე ინფორმაცია, არამედ იგი მხოლოდ „ყირაზე დგება“.

მარინ ლე პენმა განაცხადა გადანყვეტილების შესახებ - მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში

„ეროვნული ფრონტის“ ხელმძღვანელმა განაცხადა იმის აუცილებლობის შესახებ, რომ წერტილი დაესვას ქვეყანაში მოქმედ რეჟიმს და დაგვპირდა რომ იქნება კანდიდატი ჭეშმარიტებისგან. ლე პენის წინა მცდელობა იბრძოლოს მთავარი პოსტისთვის, წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მას შემდეგ ქალბატონის პოპულარობა ქვეყანაში დიდად გაიზარდა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ-ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერმა დავით ნარმანიამ „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფინანსებით დაწყებული სავარჯიშო-გამაჯანსაღებელი ცენტრის „OkTopUs“-ის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

ახალ სავარჯიშო-გამაჯანსაღებელ ცენტრს შპს „ფიტამინი“ გახსნის, რომლის განაცხადი შესაბამისმა კომისიამ გასული წლის დეკემბერში განიხილა და დააკმაყოფილა. პროგრამის შესაბამისად, ბენეფიციარმა 70000 ლარი მიიღო ძირითადი საშუალებების ხარჯების თანადაფინანსებისთვის. ცენტრის გახსნის შემდეგ შპს „ფიტამინი“, ასევე, ისარგებლებს ფართის იჯარისა და სესხის პროცენტის თანადაფინანსების კომპონენტებით. სავარჯიშო-გამაჯანსაღებელი ცენტრი გათვლილია 2 000 მომხმარებელზე. ცენტრი 1,425 კვ.მ. ფართობზე განთავსდება და შექმნის 20 მუდმივ სამუშაო ადგილს. ცენტრის გახსნის შემდეგ, თბილისის მერიის მიერ შერჩეული მოწყვლადი ჯგუფების 50 წარმომადგენელი მომსახურებაზე მინიმუმ 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, პროექტის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის სპეციალური შეღავათები გაკეთდება.

სანდრო ეულის №7-ში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები თბილისის მერთან ერთად, „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე მარგიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა დაათვალიერეს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲛᲐ ᲧᲐᲢᲐᲠᲨᲘ ᲤᲣᲠᲝᲠᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ

Დ. ᲓᲝᲰᲐᲨᲘ, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ეგრისის“ კონცერტები. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა UNESCO-ს დოჰას ოფისისა და ყატარის კულტურული უბნის მიერ ორგანიზებული „კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალის“ ფარგლებში და ემსახურება საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებას ყატარში.

ახალგაზრდა მოცეკვავეთა ანსამბლი, მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური ცეკვებისგან შემდგარი წარმოდგენით გამოვიდა, რამაც დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ადგილობრივ მედიასაშუალებებში „ეგრისის“ კონცერტს ფართო გამოხმაურება მოჰყვა, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართული ცეკვის სილამაზე, შესრულების სირთულე და კოსტიუმების მრავალფეროვნება.

ქართული ცეკვის საღამოს ყატარში ესრებოდნენ UNESCO-ს ოფისისა და ყატარის კულტურული უბნის წარმომადგენლები, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები და ფართო საზოგადოება.

ᲬᲘᲜ, ᲩᲔᲠᲜᲝᲕᲔᲪᲙᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲗ – „ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“!

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ყოფილი მერის ლეონიდ ჩერნოვეცკის მიერ გამოცხადებული კონკურსი „ბედნიერი საქართველო: იდეები, მეთოდები, განხორციელება!“ დასრულდა.

ლეონიდ ჩერნოვეცკი სოციალურ ქსელში წერს, რომ ძალიან გაუჭირდა კონკურსის გამარჯვებულების შერჩევა.

„კონკურსის „ბედნიერი საქართველოს“ გამარჯვებულის შერჩევა საკმაოდ რთული იყო: ბევრი კარგი იდეა, შემოთავაზება და ინიციატივა მივიღეთ, ბევრი ნამუშევარი დღევანდელ პრობლემებს აღწერს, რომლებიც ერთობლივი ძალებით დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას!

მაშ ასე, კონკურსის „ბედნიერი საქართველოს“ გამარჯვებულებად ვაცხადებთ:

1 ადგილი — ნატო გოგმაჩაძე, მისი ნამუშევრის შესყიდვა მოხდება 10 000 ლარად.

მე-2 ადგილი — თეიმურაზ დიასამიძე, მისი ნამუშევრის შესყიდვა მოხდება 5 000 ლარად.

მე-3 ადგილი — გიორგი შუკაკიძე, მისი ნამუშევრის შესყიდვა მოხდება 3 000 ლარად.

ვამაყობ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალს ერთად ვქმნით!“, — ნათქვამია facebook-ის გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

კონკურსის დასრულებამდე კი ჩერნოვეცკიმ მოუწოდა მოქალაქეებს, რომ აქტიურად გამოეთქვათ საკუთარი აზრი ბედნიერი საქართველოს აშენების შესახებ.

ᲧᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ ხალვაშის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის №8, სართული I (საკადასტრო კოდი: 20.18.02.089.01.501).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18248.99 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 10 თებერვალი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 19 თებერვალი, 13:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP27514916;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 275149

6. **მოვალე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP27514916; ლოტის ნომერი: 275149).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 18 თებერვლის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ღლონტის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ღლონტი (პ/ნ 33001021666), ოზურგეთის რ-ნი, სოფელი დვაბზუ.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ოზურგეთი, ზ. თენიეშვილის ქ. №12, სართული 4, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 26.26.56.025.01.016).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7071 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 10 თებერვალი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 19 თებერვალი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP27514116;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 275141

6. **მოვალე:** გიორგი ღლონტი (პ/ნ 33001021666), ოზურგეთის რ-ნი, სოფელი დვაბზუ.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP27514116; ლოტის ნომერი: 275141).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 18 თებერვლის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ კრივი

ოთხნი — კვარცხლბეკზე

შვიდი ჩვენებური მოკრივე: სევერიან ჭილაძე (თბილისი, 56), ოთარ ერანოსიანი (ახალქალაქი, 60), გელა აბაშიძე (ბათუმი, 69), ლევან კაჟაშვილი (თბილისი, 75), იაგო კიზირია (ფოთი, 81), ლევან გულედანი (თბილისი, 91), მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი, +91), მთავარი მწვრთნელი — დავით წიკლაური, მწვრთნელები — თემურ ოჩიგავა, ზურაბ გუნია მონაწილეობდა უნგრულ დებრეცენში გამართულ იშტვან ბოშკაის საერთაშორისო მემორიალში.

მათგან ხუთი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მხოლოდ ლევან გულედანი დამარცხდა ტექნიკური ნოკაუტით თურქ ალი ერენ დემირეზენთან, დანარჩენმა ოთხმა კი ორთაბრძოლები მოიგო (ყველა შეხვედრაში სამივე მსაჯმა უპირატესობა „ჯვაროსანს“ მიანიჭა) და ბრინჯაოს მედლები დაიბევა:

60 კგ. ოთარ ერანოსიანი-ლასისლავ მატუსი (სლოვაკეთი) 3:0,
69 კგ. გელა აბაშიძე-ხავიერ კოხლენი (ჰოლანდია) 3:0,
81 კგ. იაგო კიზირია-მიგელ ბორგესი (ბრაზილია) 3:0,
+91 კგ. მიხეილ ბახტიძე-ჯოზეფ ჯოისი (ინგლისი) 3:0.

ახალქალაქელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ოთარ ერანოსიანი ბრინჯაოს არ დასჯერდა: ნახევარფინალში იორდანიელ ოდაბა ალ-კასბეჰს სძლია დაძაბულ პაექრობაში — 2:1, გადამწყვეტ პაექრობაში კი ასეთივე ანგარიშით უნგრელ მიკლოშ ვარგას აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

გელა აბაშიძე, იაგო კიზირია და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მიხეილ ბახტიძე ნახევარფინალში, შესაბამისად, ბალაშ ბაკშაისთან (უნგრეთი), ალი ახმედოვსა (ყირგიზეთი) და ფილიპ ჰრგოვიჩთან (ხორვატეთი) დამარცხდნენ და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

კობა კობახიძე

◎ ჭიდაობა

ახალი სახეები „არენაში“

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების საქართველოს პირველობა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო ამ ასაკში ნაკრების დასაკომპლექტებლად. ტურნირმა ახალი სახეებიც წარმოაჩინა. მაგალითად, 55 კილოში კახა ირემაძემ ჭაბუკთა ნაკრების წევრი ალექსანდრე კილაძე და ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი რობერტ დინგაშვილი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისა და ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა მექი სიმონიამ 84 კილოში იმარჯვა. ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორი ზურაბ ურთაშვილი (120) ასაკით ჯერაც პატარაა, მაგრამ მეტოქეებს არ შეუშინდა და „ოქროც“ არავის დაუთმო.

ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: 50 კგ. გიორგი ხაჩიძე (ხაშური), **55 კგ.** კახა ირემაძე (აჭარა), **60 კგ.** შმაგი თოდუა (სამტრედია), **66 კგ.** გიორგი სულავა (ქუთაისი), **74 კგ.** ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი), **84 კგ.** მექი სიმონია (ქუთაისი), **96 კგ.** გივი მაჭარაშვილი, **120 კგ.** ზურაბ ურთაშვილი (ორივე-მცხეთა).

გივი გაგუა

◎ მძლეოსნობა

ჩემპიონატი რეკორდებმაც დაამშვენა

ძართველი მძლეოსნებისთვის ქვეყნის ზამთრის ღია ჩემპიონატი (შეჯიბრებაში სომხებიც მონაწილეობდნენ), **რომელსაც „სპორტის დედოფლის“ სასახლემ უმასპინძლა, წარმატებული ტურნირი გამოდგა — სამი რეკორდი დამყარდა. ბაჩანა ხორავა სიგრძეზე 8,25 მეტრზე გადახტა და შარშანდელი თავისივე მიღწევა (7,94 მ) გააუმჯობესა, რითაც ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლება დაიმსახურა. მძლეოსნობაში ვარჯიში მან ჩხოროწყუში ბუთხუზ ხორავასთან დაიწყო — სპრინტერულ დისტანციებზე დარბოდა.** მერე სამეგრელოს რეგიონის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა რევაზ ბუკიამ ზუგდიდში გადაიყვანა და ორი წელიწადი იქ იმაღლებდა ოსტატობას, ხოლო ამჟამად თბილისში ანდრო ბედუკაძე წვრთნის. 100 და 200 მეტრზე რბენაში საქართველოს ხუთ-ხუთგზის ჩემპიონმა ორიოდე წლის წინათ მწვრთნელის რჩევით „პროფილი“ შეიცვალა — სიგრძეზე ხტომაში სცადა ბედი. წარმატებითაც — შარშან ბაქოში პირველი ევროპული თამაშები მოიგო, ტალინში კი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე 7,97 მეტრით ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. 27 თებერვალს ბაჩანა ბალკანეთის ღია ჩემპიონატზე იასპარეზებს, ხოლო შემდეგ ამერიკაში ზამთრის მსოფლიოს

ჩემპიონატზე გაემგზავრება.

2015 წელს დავით ხარაზიშვილმა მარათონულ რბენაში (42 კმ და 195 მ) რიოს ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა,. საქართველოს წლევანდელ ზამთრის ჩემპიონატზე კი 14.59,5-ით 5000 მეტრზე რბენაში 2000 წელს ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინის მიერ დამყარებული რეკორდი მოხსნა. ქართველი მარათონელი 20 თებერვლიდან პორტუგალიაში მოემზადება და 27 მარტს ნახევარმარათონში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა.

ახალგაზრდა ზუგდიდელი საბა სოსელია ჭოკით 4,20 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. საგულისხმოა, რომ ორი კვირის წინათ თბილისის ზამთრის ჩემპიონატზე იგი 4,15 მეტრზე გადახტა და თბილისელი მარავსკის 1972 წლის საქართველოს რეკორდი ხუთი სანტიმეტრით გააუმჯობესა, ახლა კი თამასა კიდევ 5 სანტიმეტრით აამაღლა.

აქვე საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის გამარჯვებულთა ვინაობასაც გაგაცნობთ:

ქალები

60 მ. თეო მაჭარაშვილი (თბილისი, 8,03), **200 მ.** მარი ჩაკაბერია (ზუგდიდი, 27,29), **400 მ.** ლილიტ არუთუნიანი (სომხეთი, 58,05), **800 მ.** ლილიტ არუთუნიანი (2.15,29), **1500 მ.** თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 5.05,90), **3000 მ.** თამთა ღვინიანიძე (ვანი, 12.05,77), **5000 მ.** მართა ჯვარიძე (ახალციხე, 22.14,7), **სიმაღლეზე ხტომა.** ვიკა შიშლოვა (1,60), **ჭოკით ხტომა.** სალომე ინჯგია (3,00), **სამხტომი.** ირინა მიკიტიუკი (ყველა-თბილისი, 12,67), **სიგრძეზე ხტომა.** ირინა მიკიტიუკი (5,47), **ბირთვი.** სოფიო შათირიშვილი (ოზურგეთი, 11,05), **ბადრო.** ნათია რიგიშვილი (49,18), **შუბი.** ლალი კალაძე (40,40), **ურო.** ნინო წიქვაძე (ყველა-თბილისი, 49,80),

ვაჟები

60 მ. ჯიმშერ მურადოვი (თბილისი, 6,93), **200 მ.** ნიკა კარტავცევი (თბილისი-ოზურგეთი, 22,02), **400 მ.** ნიკა კარტავცევი (49,36), **800 მ.** ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.57,15), **1500 მ.** თემურ ბაიკეევი (თბილისი, 4.03,04), **3000 მ.** თემურ ბაიკეევი (8.53,64), **5000 მ.** დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 14.59,5), **60 მ/თარჯებით.** თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 9,01), **4X200 მ.** 1. ქუთაისი (1.39,14), 2. ახალციხე (1.40,28), 3. ოზურგეთი (1.41,14); **სიმაღლეზე ხტომა.** გიორგი ლაბაძე (ქუთაისი, 1,80), **ჭოკით ხტომა.** საბა სოსელია (ზუგდიდი, 4,20), **სამხტომი.** ლაშა თორღვაიძე (თბილისი, 16,30), **სიგრძეზე ხტომა.** ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი, 8,25), **ბირთვი.** ბენიკ აბრამიანი (18,23), **ბადრო.** თემურ აბულაშვილი (46,17), **შუბი.** როსტომ ჭინჭარაული (67,85), **ურო.** გოგა ჭიხვარია (ყველა-თბილისი, 61,07).

მომავალ შაბათ-კვირას თბილისის მძლეოსნობის სასახლეში 1999-2001 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები იასპარეზებენ.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: ბაჩანა ხორავა ასპარეზობისას; ბაჩანა ხორავა (მარცხნივ) და დავით ხარაზიშვილი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

ლამაზმანი ჯორჯ სოროსის ქვეყნიდან

ევროპაში **რომ გაიკითხოთ, თუ ვინ არის მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უნგრელი, უპირველეს ყოვლისა, ვისთვის ავადსახსენებელს, ვისთვის კი გულში ჩასახუტებელ ჯორჯ სოროსს იტყვიან. სოროსის შემდეგ კი აუცილებლად გაიხსენებენ ყველაზე პოპულარულ უნგრელ მოდელს ტუნდე ფაკეტეს.**

ყველაფერ სიკეთესთან ერთად შხვართთა შორის უპირველესი ტუნდე უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების თილისმაცაა და როდესაც სრულიად უნგრეთთან ერთად შანდორ კოჩიშს და ფერენც პუშკაშს იხსენებს, ისიც ისევე ბურღავს ტვინს, როგორც ჩვენებურები 1981 წლის 13 მაისის გახსენებისას.

ისე კი ჭეშმარიტად კარგი რამაა ეს ტუნდე. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მისი შეხედვისას კაცს უმალ დაავიწყდება ლარის გაცვლითი კურსიც, ეკონომიკური სიდუხჭირეც და მრავალი უბედურება. თუკი უნგრეთში ასეთ ასულთა მრავლობაა, ახლა ის ჟამია, როდესაც შურითა და ირიბი მზერით უნდა შევხედოთ ამ ქვეყანას. ეს არ უნდა გაგვიჭირდეს, წესით!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მხარე

ნადაბურიც, ვერტყვიჭალაც

ახალი **სპორტული სეზონის სტარტი რაიონის კალათბურთელთა სასკოლო ჩემპიონატის ორგანიზებით აღნიშნეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრმა და სპორტის განვითარებისა და მართვის ადგილობრივმა ცენტრმა.**

იქაური სასპორტო სკოლის დარბაზში გამართულ ტურნირში მონაწილეობდნენ დაბის მე-2 და მე-3, აგრეთვე სოფლების ბორითის, ვარძიის, ვაშლევის, ვერტყვიჭალის, ნადაბურის, ხევის, ბორის, კიცხის, მარელისისა და საღანძილის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები.

გოგონათა ასპარეზობის ფინალში ვერტყვიჭალელებმა ხეველებს სძლიეს, ხოლო ბიჭებში ნადაბურელებმა მესამესკოლელებს მოუგეს.

ვიტალი ჯაფარიძე

სანთელი

ღირსეული მამულიშვილი და ვალმოხდილი მოღვაწე

გურამ მათითაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა და უდროოდ წავიდა ჩვენგან უბრწყინვალესი პიროვნება და ცნობილი საზოგადო მოღვაწე **გურამ სევერიანის ძე მათითაშვილი**. იგი იყო შეუდარებელი ფიზიკური სიმხნევისა და სულიერი სიძლიერის მქონე ადამიანის ჭეშმარიტი ნიმუში, საქმეში მუდამ ჩახმახივით შემართული, ოჯახის, მეგობრების და ახლობლების მოყვარული პიროვნება.

გურამ მათითაშვილის გარდაცვალება საოცრად დაემსგავსა თავად მის ხასიათს. წარმოუდგენელია ვინმეს, ვინც კი მას ახლოს იცნობდა, იგი სარეცელზე მიჯაჭვული, დაძაბუნებული ავადმყოფი ენახა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა სიმხნევეს და ამაღლებულ განწყობას. იგი საქმესთან ჭიდილში გაიხარჯა. ამ სანთელივით ნათელ, უკეთილშობილეს, უღალატო და ღვთისნიერ კაცს საკუთარმა გულმა უღალატა.

გამორჩეული და ღირსეული პიროვნებების გარდაცვალება, როგორც წესი, ყოველთვის დიდ ტკივილად აღიქმება ხოლმე, მაგრამ ეს ტკივილი გაცილებით უფრო მძაფრი და გაუსაძლისია მათთვის, ვისაც მასთან სამსახურებრივი და ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ამ მხრივ იგი შეუდარებლად მდიდარი კაცი იყო. ყველგან, სადაც კი უშრომია და უმოღვაწია, მას იცნობდნენ, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტს, გულანთებულ პატრიოტს, შეუდარებელი ნებისყოფის მქონე, ზნეკეთილ ადამიანს. განუზომელია მისი წვლილი საკუთარი სამშობლოს აღმშენებლობის საქმეში.

გურამ მათითაშვილი დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში. სოხუმის პირველი, ვაჟთა სკოლის დამთავრების შემდეგ, წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1958 წელს, დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და მუშაობა დაიწყო საქართველოს მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთ-ერთ სამშენებლო სამმართველოში, სადაც უმოკლეს პერიოდში გაიარა გზა სამუშაოთა რიგითი მწარმოებლიდან მთავარ ინჟინრამდე, საიდანაც იგი გადაყვანილ იქნა სოხუმის აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგედ, შემდეგ დაწინაურებულ იქნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად, სოხუმის აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, აფხაზეთის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად, აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ და არჩეულ იქნა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად. 1979 წელს იგი გადმოიყვანეს თბილისში საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების გამგედ. 1991 წლიდან ბატონი გურამი მუშაობას იწყებს გაზის მრეწველობის დარგში: ჯერ საქართველოს გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტში დეპარტამენტის უფროსად, ხოლო შემდეგ — „საქტრანსგაზმრეწვში“. 2004 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე იგი საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში მუშაობდა.

მის კოლეგებსა და მეგობრებს ხშირად მოგვენატრება ბატონი გურამის ნათელი სახე. კაცისა, რომელმაც ღირსეულად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე და პირნათელი კაცის სახელით შეუერთდა ღირსეულ წინაპართა და მამულიშვილთა რიგებს.

დღეს მისი ცხოვრებისეული მაგალითი არა მარტო მის უშუალო შთამომავლებს — შვილებს და შვილიშვილებს, არამედ სჭირდება ქვეყანას, რომლის კეთილდღეობასა და მომავალს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე თავდაუზოგავად და უანგაროდ ემსახურებოდა. ისღა დაგვრჩენია კიდევ ერთხელ თანავუგრძნოთ მის შესანიშნავ მეუღლეს, მის შთამომავლებს, ახლობლებს, მეგობრებსა და ამხანაგებს, ყველას, ვინც კი მას იცნობდა.

ქართული ტევადი სიტყვა — გარდაცვალება, სრულიად მიესადაგება ბატონ გურამის პიროვნებას, იგი, მართალია, ფიზიკურად არ იქნება ჩვენთან, მაგრამ მისი ნათელი სახე და კეთილი კვალი მარადიულად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. წავიდა ამქვეყნიდან ადამიანი, რომელმაც თან წაიღო სამშობლოს მომავალზე, მშობლიურ აფხაზეთზე ფიქრი, დარდი და სურვილი — რაც შეიძლება მალე გვეხილა გაბრწყინებული, ეკონომიკურად ძლიერი, ზნეობრივად ამაღლებული, ლაღი და ერთიანი საქართველო, რომლის კეთილდღეობისათვის ზრუნვა იყო გურამ მათითაშვილის ცხოვრების მიზანი.

ამსანაგების, მეგობრებისა და კოლეგების სახელით:

ნოდარ ჟითანავა, ოთარ მელძაძე, გივი ანჩაბაძე, ვილენ ალავიძე, ვახტანგ ყოლბაია, დავით გვაძაბია, რამინ ძეცბაია, ჯემალ ბერიძე, პავლე ძვაჩახია, ზურაბ ერძვანია, გენო კალანდია, როლანდ მიძაუტაძე, გია გვაზავა, თამაზ ხუბუა, სვეტლანა ძეცბა, ზვიად როსტომაშვილი, გიგლა თამაზაშვილი, ილია ლეკიაშვილი, გია შაშვიაშვილი, ვლადიმერ გაფრინდაშვილი, სულიკო ცინცაძე, ჯონი შავლაყაძე, მარიამ ადუაშვილი, ხათუნა დუდუჩავა, მერაბ ჯიშკარიანი, რაფიელ ნარიმანიძე, კუკური კერესელიძე, თენგიზ წივწივაძე, თეიმურაზ ჯავახიშვილი.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ა/რ მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი, წარსულში აფხაზეთის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი, აფხაზეთის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მინისტრი, აფხაზეთის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, 1978 წლიდან საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების უფროსი

გურამ სევერიანის ძე მათითაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

ლია ბელელაძე

ვაი, რომ საწუთრო მუხთალია და სიკვდილი ულმობელი. გარდაიცვალა **ლია ბელელაძე** — კეთილშობილი ადამიანი, დარბაისელი მანდილოსანი, სწავლული, პედაგოგი... ის ერის ღირსებების განსახიერება იყო.

იცოცხლა და იღვაწა „გულის სიუხვით“ (მელორ სტურუა). ადამიანები უყვარდა და ყოვლადმოწყალე იყო. უშურველად გასცემდა ცოდნასა და პროფესიულ გამოცდილებას. ყოველ დროს მზად იყო თანადგომისთვის.

აღესრულა და მიეახლა დატირებულ მეუღლეს რევაზ (რეზო) ღლონტს — ზნეკეთილ ადამიანს, რაინდსა და ინტელიგენტს. ლია ბელელაძე და რევაზ (რეზო) ღლონტი თვალტანადი, ზნეობრივი სისპეტაკით გასხივოსნებული ცოლ-ქმარი იყო.

ვაგლახ, რომ „კაი ყმა“ დაცემულია,

ვაგლახ, რომ „ქალი და დედა“ მოკვდა.

შემზარავია „აჩრდილის გამოხმობა“ და გამოთხოვება. თქვენი სახება შემომხვდება ყოველთვის, როდესაც ამ წუთისოფელში სიკეთე იმძლავრებს, მიმტევებლობა დათრგუნავს მტრობას, კაცთმოყვარეობა დაძლევს შურს...

ლია ბელელაძე და რევაზ (რეზო) ღლონტი „ერს მოუკვდნენ“ (ილია ჭავჭავაძე). ღმერთს შევსთხოვ, რომ ჩემს ერს უმრავლოს „მათ ნამუხლარზე“ (ლევან გოთუა) მავალნი და ღირსსახსენებელნი.

როდერიგო ფოცხიშვილი

სანთელი

ზაურ ზარნაძე

თბილისსა და ჩვენ საძმოს კიდევ ერთი ნაღდი ქართველი გამოაკლდა, შვიდი შვილის მამა, სამეგობროში გამორჩეული, ქართული და კაცური ტრადიციების ერთგული, გაჭირვებულთათვის გვერდში მდგომი, ძირძველი თბილისელი — ასეთად ვიცნობდით და ასევე დარჩება ჩვენს ხსოვნაში **ზაურ ზარნაძე**. მოულოდნელი გარდაცვალებით დიდ ოჯახსა და სამეგობროს აუნაზღაურებელი დანაკლისი და სევდა დაგვიტოვა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ძმის სული.

გულისტკივილით მეგობრები:

ოთარ ჟითანავა, ვაჟა ძოჩიაშვილი, გიჟი დადიანი, გურამ გუნავა, გივი სოსელია, ზურაბ გოგოხია, ალეკო კაკულია, ჯემალ ცერცვაძე, ჯუმბერ ფანჩულიძე, აჩიკო გრიგორაშვილი, ომარ ნადარეიშვილი, ემზარ სუძნიძე, ნანა მაჭავარიანი, ცისანა ბასილაშვილი, რევაზ გურასპაული, რუსუდან კოპაძე, ცისანა ძველია, გივი მეტრეველი, ვალიკო წიკლაური, თეიდო ჩხეიძე, ნუგზარ ვაზაგაშვილი.

რეკლამა
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ ინფორმაცია

სასტუმრო ბორდელად გადაიქცა

შსს-ს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული მირიან მ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებული, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ბათუმში, თავის მფლობელობაში არსებულ სასტუმროში ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდა. სამართალდამცველებმა სასტუმროს მომსახურე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

◎ ჩვენი „სასწრაფო“

სიცივის დარტყმა

იანვარ-თებერვალი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში, სიცივური ტრავმატიზმის პიკად ითვლება. როცა თერმომეტრის სინდიყი 0 გრადუსზე გაცილებით ქვევით ჩამოდის, თითების, ხელის მტევნების, ტერფების, ლოყების, ნიკაპის, ყურების ან ცხვირის მოყინვა თავისუფლად შეიძლება. ამიტომაც შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ კაცს სიცივით ტრავმირებული სხეულის უბნის სწორად აღდგენის ცოდნა დასჭირდეს, რაშიც, ვფიქრობთ, ჩვენი რჩევები დაგეხმარებათ.

შეცდომაა: მოყინული კიდურის გათბობის მცდელობა მისი ცხელ წყალში ჩაყოფით ანდა კოცონის ღია ცეცხლზე დაჭერით.

საფრთხე: მოყინულ კანში მინუსური ტემპერატურა ნარჩუნდება — თბილ წყალთან შედარებითაც კი სხვაობა, შესაძლოა 20 გრადუსს (!) აღწევდეს. ამავდროულად გაცოცხლებული უჯრედები ამ დროს უმალ იღუპებიან, თანაც ამ პროცესში მეზობელ უჯრედებსაც ითრევენ, ამიტომაც არასწორად გამთბარ ქსოვილებში ნეკროზი ვითარდება.

როგორ უნდა მოვიქცეთ: მოყინული ქსოვილები ნელ-ნელა, შიგნიდან უნდა გაათბოთ, მათში დარღვეული სისხლის მიმოქცევის თანდათანობით აღდგენით.

შეცდომაა: სიცივით დაზიანებული ადგილის დაზელვა.

საფრთხე: ყველაზე სახიფათოა მოყინული უბნის თოვლით ან შალით დაზელა. შალი კანის გაღიზიანებას იწვევს, ნაკაწრებს აჩენს, რომლებშიც ინფექცია ადვილად აღწევს. ყინულის კრისტალებით გაჯერებული თოვლი კი მოყინულ უბანს უფრო მეტ ტრავმასაც აყენებს, თან მეტადაც აცივებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ: თავდაპირველად კანზე სითბოგაუმტარი სახვევი უნდა დაიდოთ — შალის შარფი, მოსასხამი. სახლის პირობებში შარფის ქვეშ შეგიძლიათ ბამბის სქელი ფენის დადება, ზემოდან კი ორ-სამფად მოკეცილი ცელოფანი ან მუშამბა დაიფინოთ.

რამდენიმე საათში გამათბობელი სახვევი შეგიძლიათ შეიხსნათ და კანი გაზავებულ სპირტში ან არაყში დასველებული ბამბით ფრთხილად გაიწმინდოთ, რის შემდეგ სახვევი კვლავ დაიდეთ და თბილი საბანი გადაიფარეთ.

შეცდომაა: რაღაც ნაწილის მოყინული კაცისთვის დახმარების ქუჩაში გაწევა.

საფრთხე: სიცივით მოყენებული ტრავმის ვერაგობა კიდევ ისაა, რომ მას ხშირად მთელი ორგანიზმის ზოგადი შეცივება ახლავს, რასაც, შესაძლოა, მეტად სერიოზული შედეგი მოყვეს, კერძოდ, ფილტვებზე ან თირკმლებზე გართულება.

როგორ უნდა მოვიქცეთ: ძალიან მნიშვნელოვანია დაზარალებულის თბილ ოთახში შეყვანა და ცხელი სასმლის — თაფლიანი ან ჟოლოიანი ჩაის მიღება. სამკურნალო საშუალებებიდან კარგი იქნება, თუ ხელთ გექნებათ სპაზმოლიტიკი, აგრეთვე სისხლის გამათხევადებელი და თრომბების წარმოშობის საწინააღმდეგო ასპირინი, გულის პრეპარატები, ასევე ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები. მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, უმჯობესია, მაინც ექიმს მიმართოთ, რადგან ყინვის ტრავმები ძალიან ვერაგი რამაა!

შეგონებანი ამომავალი მზის ქვეყნიდან

იაპონელი ბიზნესმენი, კონოსუკე მაცუსიტის წარმატების მიზეზები

იაპონელი ბიზნესმენი, Matsushita Electric-ის დამფუძნებელი, რომელიც ცნობილია საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებით Panasonic-ის, Technics-ის და National-ის ბრენდების ქვეშ.

1. ბიზნესმენი — ეს არის მხატვარი

მხატვრის მსგავსად, რომელიც იყენებს საღებავებს და ფუნჯს მშვენიერი ნახატის შესაქმნელად, ბიზნესმენი იყენებს ადამიანებს, საქონელს და კაპიტალს იმისათვის, რომ შექმნას მუდმივად ცვალებადი მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროდუქტი და მომსახურება. ამ შემთხვევაში ბიზნესმენი არის მხატვარი მრავალმხრივი ნიჭით.

2. გააკეთეთ ის, რაც გონივრულია და თძვენი ბიზნესი აყვავდება

როცა თქვენ წვიმაში ან ცუდ ამინდში გადიხართ გარეთ, თან მიგაქვთ ქოლგა. ამით თქვენ საღი აზროვნებით მოქმედებთ: თქვენ იცით, რომ თუ არ გინდათ დასველდეთ წვიმაში, საჭიროა ქოლგის წაღება.

იგივე შეიძლება ითქვას ბიზნესზე. თუ თქვენ აწარმოებთ კარგ პროდუქციას — იღებთ კარგ შემოსავალს. მარტივ სიტუაციებში ეს სრულიად ჩვეულებრივი ქმედებაა, რაც უფრო ნაკლები შეცდომები გექნებათ, მით უფრო წარმატებული იქნება თქვენი საწარმო.

3. მიზნისკენ სიარულის დროს ნუ გაჩერდებით შუაგზაზე

როცა ადამიანები წარუმატებლობას განიცდიან, ვერ აღწევენ მიზნებს, ვერ ნახულობენ საკითხის გადაჭრის შესაფერის მეთოდებს — ეს იმის ბრალია, რომ ისინი შუა გზაზე ჩერდებიან. თუ თქვენ უარს ამბობთ საკუთარ მიზანზე მანამ, სანამ მას მიაღწევთ, როგორ შეიძლება რამეს მიაღწიოთ საერთოდ?

4. კარგი დრო — კარგია, ცუდი — უკეთესი

ჩვენ შეიძლება მადლობელი ვიყოთ ჩვენი ბედის, როცა ბიზნესი კარგად მიდის, მაგრამ როცა წარმატება წყდება, მხოლოდ მაშინ ვცდილობთ საკითხებს ჩავუღრმავდეთ, რომლებზეც არ დავფიქრებულვართ წარმატების პერიოდში.

წარუმატებელი პერიოდი პროექტირებისთვის მშვენიერ შესაძლებლობებს ხსნის. ძალიან ეხმარება ადამიანს ფიქრი იმის შესახებ, რომ კარგი დრო — ეს კარგია, ცუდი დრო — კიდევ უკეთესი.

5. წარუმატებლობა ახალი წარმატების შესაძლებლობას ქმნის

ყველას აქვს უფლება წარმატებით დატკბეს. მაგრამ წარმატებამ შესაძლოა გააჩინოს საშიშროების გრძნობა და ეჭვები გაზარდოს. წარუმატებლობა კი პირიქით, ახალი წარმატების შესაძლებლობებს ქმნის, რა თქმა უნდა თუ თქვენ შეძლებთ შეცდომების გაცნობიერებას და შეეცდებით, რომ ისინი აღარ გაიმეოროთ.

6. გადაწყვეტილებები მიიღეთ ყოყმანის გარეშე

საჭირო გადაწყვეტილებები უნდა მიიღოთ საგულდაგულო განსჯის და ყველა დეტალის ყურადღებით გათვალისწინების შემდეგ, მაგრამ დღეისათვის განვითარება სწრაფად მიმდინარეობს. თუ არ იქნებით უშიშარი და წინდახედული, რათა შეძლოთ სწრაფად ფიქრი და გადაწყვეტილებების ყოყმანის გარეშე მიღება, აღმოჩნდებით ბორტს მიღმა.

7. თანამშრომლების სწავლების ეფექტური ფორმულა

ადამიანებს არ შეუძლიათ ისწავლონ რბილი და მოთმინების მქონე მასწავლებლის გარეშე, თუმცა, მოთმინება თავისთავად დიდს არაფერს ნიშნავს. ყველაზე ეფექტური ფორმულა ასეთ დროს არის — 10% სიმკაცრე და 90% სირბილე. მაგრამ სიმკაცრის ეს 10% უნდა ცვლიდეს ბევრ რამეს.

8. ნუ მიაძცევთ ყურადღებას წვრილმანებს

დაკვირვებიხართ თუ არა, რომ წვრილმანი საქმის კეთებას თავს არიდებთ? ძველი ანდაზა ამბობს: ჭიანჭველასაც კი შეუძლია ირმის დამარცხება.

თუ თქვენ არ მოაგვარებთ წვრილმანებს, ეს საკითხები დაგროვდება და გადაიქცევა მთად, რომელიც საფრთხეს შეუქმნის თქვენი ორგანიზაციის არსებობას. დაიმახსოვრეთ, არასოდეს თავი არ უნდა აარიდოთ წვრილმან საკითხებს.

9. უძმად ყოფნის საბაბის ძებნის ნაცვლად, მოძებნეთ მიზეზი, რის გამოც უნდა აკეთოთ

ადამიანები ცდილობენ, უფრო მეტი მიზეზი მოძებნონ იმისათვის, რომ რამე არ გააკეთონ, ვიდრე მოძებნონ საბაბი რაიმეს საკეთებლად. თუ ვინმე რამეს არ აკეთებს და მხოლოდ ბოდიშს იხდის უშედეგობის გამო, საბოლოოდ ძალიან ცუდად დამთავრდება ეს სიტუაცია.

შეეცადეთ, დაუწესოთ საკუთარ თავს რაც შეიძლება მეტი მიზეზი რაიმეს საკეთებლად, ვიდრე უქმად ყოფნის გამართლება ეძებოთ. ეს დაგეხმარებათ წარმატებებისკენ სავალი გზა გაწმინდოთ და სწრაფად მიაღწიოთ მიზანს.

10. ყველა ადამიანი ჰგავს ალმასს

სანამ ალმასი არ დამუშავდება, მანამ ის არ ბზინავს, დამუშავების შემდეგ კი თვალის მომჭრელად ელვარებს. ეს იმიტომ ხდება, რომ მასში დაფარული ბრწყინვალეა. ყველა ადამიანი დაუმუშავებელ ალმასს ჰგავს. თუ ახლა ისინი არ ბზინავენ, ეს იმიტომ, რომ კარგად დამუშავება აკლიათ.

11. გადაიღეთ კარგი ჩვევები

ჩვევები — ეს არის წესების ნაკრები, რომელთა მფლობელიც თქვენ შეიძლება გახდეთ იმ შემთხვევაში, თუ ძალისხმევას ჩადებთ. კარგი ჩვევების შეძენის ყველაზე სწრაფი მეთოდი არის იმ ადამიანზე დაკვირვება, რომელიც უკვე ფლობს მათ. საკუთარი ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად, საჭიროა ისეთი ჩვევების შეძენა, რომლებიც გააძლიერებენ თქვენს უნარებს და დაეხმარებიან თქვენს განვითარებას.

b2p.ge

◎ ციცხალი ანეკდოტები

სვანი თინეიჯერის დღიურიდან: ამ შაბათს მაგარი პონტი გაიჩითა, სახლში მარტო დავრჩი და დაიწყო თავბრუდამხვევი სიტუაცია, მაგარი ზმანები, თეთრი ფხვნილი.... მაგრამ მერე მშობლები მოვიდნენ და სარეცხი მანქანიდან ამომიყვანეს.

* * *

სვანი ვეფხისტყაოსანს ზეპირად ისწავლის და ხელზე ჯვარს დაისვამს — არ დამავიწყდესო

* * *

სვანმა ძველი ავეჯი ფანჯრიდან გადაყარა. მეზობელმა შეახსენა, — ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ დაიყვირე მაინც.

— მე რა მაქვს საყვირალი. ვისაც დაეცემა იმან იყვიროს, დააშოშმინა სვანმა.

* * *

სამი სვანი სადგურიდან ახლად დაძრულ მატარებელს მისდევს. ორი შეახტება, ერთი ვერ დაეწევა, დგას და იცინის. სადგურის მორიგე ეკითხება:

— რა გაცინებს?

— ის ორი მე მაცილებდა!

* * *

სვანი იჩხუბებს მამამისთან და წავა სახლიდან. რამდენიმე თვეში მოსდის წერილი, გახსნის და ცარიელი ფურცელია. მამა: — კიდე არ მელაპარაკება ეს შობელძაღლი.

* * *

სამი სვანი დამალობანას თამაშობდა... სამივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

* * *

სვანი ინტერნეტში შევა და ანტივირუსი მოკლავს.

* * *

სვანს ოპერაციას გაუკეთებენ თავზე, ქალას ახდიან, შიგ ძაფია გაბმული: „ამ ძაფს აქ რა უნდა?!“ გაიფიქრებს ექიმი და გადაჭრის. სვანს ყურები დასცვივდება.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!